

მოქალაქეობა და მოქალაქეობის არქონა

სახელმძღვანელო პარლამენტარებისთვის

შენიშვნა

ეს სახელმძღვანელო მომზადდა საპარლამენტთაშორისო კავშირის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა მუდმივი კომიტეტის ბიუროსთან თანამშრომლობით.

კვლევა და ანალიზი: ქეროლ ბეჩელორი (Carol Batchelor) და ფილიპ ლეკლერკი (Philippe Leclerc) ([გლუკი](#))

ტექსტის ავტორი: მერილინ ექირონი (Marilyn Achiron)

სარედაქციო კოლეგია:

გლუკი: ერიკა ფელერი (Erika Feller),
ფილიპ ლეკლერკი (Philippe Leclerc),
ხოსე რიერა (Jose Riera) და სარა ბაშეტი (Sara Baschetti)
საპარლამენტთაშორისო კავშირი:
ანდერს ბ. ჯონსონი (Anders B. Johnsson) და
კარინ ჯებრი (Kareen Jabre)

ორიგინალი ვერსიის ენა: ინგლისური
გარეკანის დიზაინი: ჟაკ ვანდფლიუ (Jacques Wandfluh),
Studio Infographie, შვეიცარია

დაბეჭდილია საქართველოში

ნინასიზუვაობა

„ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება. არ შეიძლება თვითნებურად ჩამო-ერთვას ვინმეს მოქალაქეობა ან მოქალაქეობის შეცვლის უფლება“. ეს ლაკონური დებულებები 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-15 მუხ-ლიდან ყოველ პირს, მთელ მსოფლიოში, სახელმწიფოსთან სამართლებრივი კავშირის უფლებას ანიჭებს. მოქალაქეობა ანუ ეროვნება (ეს ორი ცნება ამ სახელმძღვანელოში, ისევე, როგორც საერთაშორისო სამართლში, ურთიერთშენაცვლებადი ტერმინებია) პირს არა მარტო თვითიდენტიფიცირების საშუალებას აძლევს, არამედ ანიჭებს სახელმწიფო დაცვას და სხვა მრავალ სამოქალაქო თუ პოლიტიკურ უფლებას; შესა-ბამისად, მოქალაქეობა განიმარტება, როგორც „უფლება, გქონდეს უფლებები“.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საერთაშორისო სამართლის ნორმა, რომელიც შეეხება მოქალაქეობის მიღებას, დაკარგვას ან მასზე უარის თქმას, მიღიონობით ადამიანი მსოფლიოში კვლავაც მოქალაქეობის გარეშე ჩრება. ისინი მოქალაქეობის არმქონე პირები არიან. მოქალაქეობის არქინა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული, მათ შორისას კანონთა კოლიზია, ტერიტორიის გადაცემა, საოჯახო სამართლი, ადგინისტრაციული პრაქტიკა, დისკრიმინაცია, დაურეგისტრირებელი შობადობა, დენაციონალიზაცია (ანუ სახელმწიფოს მიერ პირისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა) და პირის მიერ მოქალაქეობაზე (სახელმწიფოს დაცვაზე) უარი.

მსოფლიოში მოქალაქეობის არმქონე პირთა დიდი ნაწილი იძულებითი გადაადგ-ილების მსხვერპლი. ის პირები, ვინც იძულებული ხდებიან დატოვონ საკუთარი სახლები, მოქალაქეობის დაკარგვის რისკის ნინაშე დგებიან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ გადაადგილებას თან ახლოვს, ან შემდგომ მოჰყვება, ტერიტორიული საზღვრების გადასაწილება. თავის მხრივ, მოქალაქეობის არმქონე პირები და ის პირები, რომელთაც ჩამორთვათ მოქალაქეობა, ასევე არიან ხშირად იძულებული დატოვონ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. სწორედ ლტოლვილთა მდგომარეობასთან ამ მსგავსებამ გამოიწვია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრიისთვის (გლუკი) პასუხისმგებლობის დაესრება და მოქალაქეობის არქინის პრევენციასა და მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შემცირებაზე ზრუნვა.

ბოლოდროინდელი მონაცემების თანახმად, მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვი მთელ მსოფლიოში 11 მილიონს აღწევს. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია. ორგანიზა-ციებისათვის მეტისმეტად ძნელი აღმოჩენდა მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვება, რადგან მოქალაქეობის უქონლობის კონცეფცია ქვეყნებს შორის ჯერაც კამათის საგნად ჩრება; მთავრობები ხშირად თავს იკავებენ, გაავრცელონ ინფორმაციი მოქალაქეობის არმქონეთა შესახებ; ისიც საგულისხმოა, რომ მოქალაქეობის უქონლობის პრობლემა საერთაშორისო საზოგადოების დღის წესრიგში აქტუალურად არ ითვლება.

თუმცა ბოლო წლებში საერთაშორისო საზოგადოებისთვის ნათელი გახდა, რომ ადა-მიანის უფლებებს დაცვა გვემარება თავიდან ავტოლით მასიბრივად და იძულებითი გადაადგილებები. ანალოგიურად, არსებული პრინციპების საფუძველზე საერთა-შორისო სელმეკრულებებში შეინიშნება მზარდი ტენდენცია იმის შეგნებისა, რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან გადაჭრან მოქალაქეობის უქონლობის პრობლემა. მთავრობებმა უნდა აღიარონ, როგორც ფორმალურად, ასევე პრაქტიკულად, რომ მათ არა აქვთ უფლება მოქალაქებრივი პრივილეგიები ჩამოართვან ან შეუზღუდონ იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ დაადასტურონ საკუთარ ქვეყანასთან უტყუარი და ეფექტური კავშირი.

მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შემცირების ან აღმოფხვრის საკითხისადმი პარლამენტართა დამოკიდებულების გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ისეთი ეროვნული კანონმდებლობის მიღება, რომელიც იძლევა გარანტიას, რომ არც ერთ პირს თვითნებურად არ ჩამოერთმევა მოქალაქეობა; რომ პირებს მიენიჭებათ მოქალაქეობა იმ პირობებშიც, როდესაც სხვა დროს მოქალაქეობის გარეშე დარჩებოდნენ და რომ ისინი, ვინც კვლავაც მოქალაქეობის არმქონენი არიან ან მომავალში იქცევან ასეთებად, უზრუნველყოფილი იქნებიან სათანადო დაცვით. პარლამენტარებს აგრეთვე შეუძლიათ შეასრულონ მნიშვნელოვანი საზედამხედველო როლი, რათა სახელმწიფოს პოლიტიკამ უნდღიერთ ან მიზანმიმართულად არ წარმოშვას მოქალაქეობის არმქონე პირები; აგრეთვე, მოუწოდონ მთავრობებს მოქალაქეობის არმქონე პირთა საკითხების გადაწყვეტისკენ და აამალონ თავიანთი ამომრჩევლების/საზოგადოების ცნობიერება მოქალაქეობის უქონლობის პრობლემებთან დაკავშირებით.

წინამდებარე სახელმძღვანელო ასახავს ამ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემებს, გვთავაზოს მოგვარეობს შესაძლო ვარიანტებს და იმ ნაბიჯებს, რომელიც პარლამენტის წევრებმ შეიძლება გადადგან მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობიდან გამომდინარე. იმედი გვაქვს, რომ ეს სახელმძღვანელო დახმარებას გაუწეს პარლამენტარებს, რათა გადადგან საჭირო ნაბიჯები მსოფლოოში მიღობობით კაცის, ქალისა და ბავშვის ცხოვრებზე უარყოფითი გავლენის მქონე მოქალაქეობის არქონის ფეხმენის შემცირებისა და საბოლოოდ აღმოფხვრის საქმეში.

ანტონიო გუტერიში
გაერთიანებული ერების
ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი

ანდერს ბ. ჯონსონი
ევროკალური მდივანი
საპარლამენტაშორისო კავშირი

შენიშვნა	2
წილადისამართი	3
შესავალი	6
თავი 1: საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა მოქალაქეობის უფლებასა და მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვის შემცირებასთან დაკავშირებით	9
თავი 2: მოქალაქეობის არმქონე პირთა იდენტიფიცირება და დაცვა.	19
თავი 3: მოქალაქეობის არქონის მიზეზების აღმოფხვრა.	30
თავი 4: გლუკის როლი.	47
თავი 5: როგორ შეუძლიათ პარლამენტარებს დახმარება	53
დანართი 1: მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ 1954 წლის გაეროს კონვენციის წევრი სახელმწიფოები.	59
დანართი 2: მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვის შემცირების შესახებ 1961 წლის გაეროს კონვენციის წევრი სახელმწიფოები.	61
დანართი 3: შეერთების სამოდელო დოკუმენტები	62
დანართი 4: გლუკის წარმომადგენლობები	64
მოკლედ გლუკისა და საპარლამენტაშორისო კავშირის შესახებ . . .	73

შესავალი

ჩვენ, მოქალაქეები, ჩვეულებრივ ვსარგებლობთ იმ უფლება-მოვალეობებით, რასაც მოქალაქეობა გვანიჭებს. უმეტეს ჩვენგანს შეუძლია ბავშვი შეიცვანოს სკოლაში, ავადმყოფობის დროს მიიღოს სამედიცინო დახმარება, შეიტანოს განაცხადი დასაქმების თომაზე და აირჩიოს წარმომადგენელი ხელისუფლებაში. ჩვენ ვგრძნობთ, რომ გვაქვს ჩვენი ადგილი იმ ქვეყანაში, რომელშიც ვცხოვრობთ; ჩვენ ვგრძნობთ, რომ ვეკუთნით რაღაც უფრო დიდს, ვიდრე ჩვენივე საკუთარი თავია.

მაგრამ როგორ ცხოვრობს ის, ვისაც არ გააჩნია მოქალაქეობა, ანუ მოქალაქეობის არმქონე პირია? მოქალაქეობის გარეშე პირს არა აქვს არჩევნები მონაწილეობის უფლება იმ ქვეყანაში, რომელშიც ის ცხოვრობს; არა აქვს სამგზავრო საბუთზე განაცხადის შეტანის ან ქორნინების რეგისტრაციის უფლება. ზოგიერთ შემთხვევაში, პირი, რომელსაც არ გააჩნია მოქალაქეობა და იმყოფება თავისი წარმოშობის ან ყოფილი საცხოვრებელი ქეყნის ფარგლებს გარეთ, შესაძლებელია დიდი ხნით დააგვინდონ, თუ ქვეყანა მას უკან დაბრუნებაზე უარს განუცხადებს. ხშირად პირებს, რომელთაც არ შეუძლიათ საკუთარ ქვეყანასთან სამართლებრივი კავშირის დამტკიცება, უარს უუბნებიან ისეთ ფუნდამენტურ უფლებებზე, როგორიცაა განათლების, სამედიცინო დახმარებისა და დასაქმების უფლება.

„მტკიცე უარი იმ ქვეყნისგან, სადაც ვცხოვრობ; მტკიცე უარი იმ ქვეყნისგან, სადაც დავიბადე; მტკიცე უარი იმ ქვეყნისგან, საიდანაც ჩემი მშობლები არაა; გამუდმებით მოსმენა „შენ ჩვენ არ გვეკუთვნი!“ მგონია, რომ არაფერს წარმოვადგენ და საერთოდ არ ვიცი, რისთვის ვცხოვრობ. როცა მოქალაქეობის არმქონე პირი ხარ, ყოველთვის საკუთარი უსარგებლობის განცდით ხარ გარემოცული.“

ლარა, ყოფილი მოქალაქეობის არმქონე პირი

მოქალაქეობის უქონლობის შესახებ 2003 წელს გლუკის მიერ წარმოქმული კვლევა ადასტურებს, რომ მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი რეგიონი, რომელიც არ დგას იმ პრობლემების ნინაშე, რომლებსაც მოქალაქეობის არქონამდე მიყვავართ. მსოფლიოში მოქალაქეობის არმქონე პირთა ზუსტი რიცხვი უცნობია, რადგან სახელმწიფოებს ხშირად არ სურთ ან არ შეუძლიათ დაზუსტებული მონაცემების მოწოდება; მხოლოდ რამდენიმეს გააჩნია მოქალაქეობის არმქონე პირთა რეგისტრაციის მექანიზმი. სახელმწიფოებს მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მოწოდების პირდაპირი ვალდებულება არ აკისრიათ. გლუკის შეფასებით, მსოფლიოში მილიონობით ადამიანი ცხოვრობს მოქალაქეობის გარეშე.

მოქალაქეობის არქონა, რომელიც პირველად მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ცნეს გლობალურ პრობლემად, შესაძლოა წარმოიშვას სახელმწიფოებს შორის პირების სამართლებრივ იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული დავის, სახელმწიფოთა დაშლის, საზოგადოების შიგნით გარკვეულ ჯგუფთა ხანგრძლივი იზოლირების ან ინდივიდების თუ პირთა ჯგუფებისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის შედეგად. ჩვეულებრივ, მოქალაქეობის არქონა ასოცირდება საერთაშორისო ურთიერთობების ძირებით ცვლილებების პერიოდებთან. საერთაშორისო საზღვრების ხელახალი გადანაიღება, სახელმწიფო ლიდერების მიერ პოლიტიკური სისტემებით მანიპულირება სადაც პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და/ან მოქალაქეობის მინიჭებაზე უარი ან მოქალაქეობის ჩამორთმევა რასაბრივი, რელიგიური და ეთნიური უმცირესობების

გამორიცხვის და იზოლირების მიზნით – მოქალაქეობის არქონის მიზეზი აღმოჩნდა მსოფლიოს ყველა ნაწილში. ბოლო 20 წლის მანძილზე შეინიშნება იმ პირთა რიცხვის ზრდა, რომელთაც ჩამოერთვათ მოქალაქეობა ან ვერ შეძლეს მოქალაქეობის მიღება. თუ ასეთი მდგრძარება კვლავ გაგრძე ლდება, ამ მოსახლეობაში უუფლებობის განცდის გაღრმავება მათ გადადგილებას გამოიწვევს.

„მოქალაქეობის წართმევა სამყაროს წართმევის ტოლფასია; ეს ნიშნავს ჯუნგლებში დარტუნებას გამოევაბულის ბინადრის ან ველურის მსგავსად... ადამიანს, რომელსაც არაფრი განარი საკუთრი კინარის გარდა, დაკრული აქს ყველა ის თვისება, რაც სხვა ადამიანებს მისცომს საშუალებას, მოეპყრან მათ როგორც პიროვნებას... მათ შეიძლება ისე იცხოვრონ და დახოცონ, რომ არანაირი კვლი არ დატოვონ, წელილი არ შეიტანონ საზოგადოებაში.“

პანა არენდტი, ტოტალიტარიზმის საწყისები

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, პარლამენტარებს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია იმ საერთაშორისო პრინციპების შესახებ, რომლებიც არეგულირებენ მოქალაქეობასა და მოქალაქეობის არქონას. საერთაშორისო სამართალი სახელმძღვანელებს აძლევს ფართო უფლებამოსილებას, განასაზღვრონ, თუ ვინ არაინ მათი მოქალაქეები და დაადგონონ პირობები, რის საფუძველზეც მოხდება მოქალაქეობის მიღება, დაკარგვა და შენარჩუნება. მე-20 საუკუნეში ადამიანის უფლებათა პრინციპების განვითარებამ შეზღუდა სახელმწიფოების ეს უფლებამოსილება იმ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელია მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვის გაზრდა და/ან თუ მის გამოყენებას დისკრიმინაციული ხსიათი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები ერთად ცდილობენ მოქალაქეობის არქონასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას, მთელ მსოფლიოში კვლავაც მილიონობით ადამიანი რჩება მოქალაქეობის გარეშე. წინამდებარე სახელმძღვანელო იხილავს მოქალქეობის არმქონე პირთა უფლება-მოვალეობებს საერთაშორისო კანონმდებლობის კვალიბაზე; კერძოდ, მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ 1954 წლის კონვენციის მიხედვით. (გლუკის ძალისსხმევის მიუხედავად, 1954 წლის კონვენციის რატიფიცირება მოახდინა ან მას შეუერთდა მთოლოდ 60 სახელმძღვანელო; შედარებისთვის, ლოტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციისა და/ან 1967 წლის ოქმის რატიფიცირება მოახდინა ან შეუერთდა 146 სახელმწიფო) სახელმძღვანელო ყურადღებას ამახვილებს ასევე მოქალაქეობის არქონის გამომწვევ მთავარ მიზეზბზე და მსჯელობს, თუ როგორ უნდა უზრუნველყონ მთავრობებმა, რომ ეროვნული კანონმდებლობის განხორციელება არ იქცეს მოქალქეობის უქონლობის მიზეზდ.

გლუკი არის გაეროს სააგენტო, რომელსაც დავალებული აქვს, ხელი შეუწყოს მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შემცირებას და დახმარება აღმოუჩინოს მოქალაქეობის ამრქონე პირებს ამ სტატუსის მოპოვებაში. წინამდებარე სახელმძღვანელო აღწერს, თუ რას აკეთებს გლუკი თავის მისის უკეთ შესასრულებლად. იგი ასევე გვთავაზობს იმ პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომლებიც შეიძლება გადადგან პარლამენტარებმა მოქალაქეობის არმქონეთა რიცხვის შესამცირებლად; კერძოდ, მოქალაქეობის შესახებ ქვეყნის კანონმდებლობის გადახდვა და საჭიროების შემთხვევაში მასში ცელილებების შეტანა; მთავრობის წინაშე შუამდგომლობა მოქალქეობის არმქონე პირთა შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიერთებაზე და მოქალქეობის არქონასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამალებლად საჭირო ქმედებების განხორციელება.

სახელმძღვანელო ასევე გვთავაზობს იმ პოზიტიურ მაგალითებსაც, თუ მოქალაქეობის უქონლობის როგორი რთული შემთხვევები მოგვარდა დაინტერესებულ სახელმწიფოთა პოლიტიკური ნების, სამოქალაქო საზოგადოების ჩარევსას და საერთაშორისო საზოგადოების მიერ გაწეული დახმარების შედეგად. ამგვარი „ნარმატებული გამოცდილება“ იმის მაჩვენებელია, რომ როდესაც მთავრობები, სამოქალაქო და საერთაშორისო საზოგადოებები თანამშრომლობენ, მოქალაქეობის არმქონე პირებს რეალურად ეძლევათ საშუალება, ისარგებლონ „უფლებების ქონის უფლებით.“

თავი 1

საერთაშორისო სამართლებრივი პაზა მოქალაქეობის უფლებასა და მოქალაქეობის არმქონი პირთა რიცხვის შემცირებასთან დაკავშირებით

მოქალაქეობა ძალიან დელიკატური საკითხია, ვინაიდან იგი გახლავთ ქვეყნის სუვერენიტეტისა და თვითმყოფადობის გამოხატულებას. გასაკვირი არაა, რომ დავა მოქალაქეობას თაობაზე შესაძლებელია, და ხშირად ეს ასეც ხდება, გადაიზარდოს დაძლულობასა და კონფლიქტში როგორც სახელმწიფოს შიგნით, ასევე – ქვეყანათა შორის. მე-20 საუკუნეში შეინიშნებოდა როგორც მოქალაქეობის უქონლობის შემთხვევების ზრდა მსოფლიოს მასშტაბით, ასევე საზოგადოების მზარდი დაინტერესება ინფორმაციით ადამიანის უფლებების შესახებ. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სამართალი მოქალაქეობის შესახებ ორი მიმართულებით განვითარდა: მოქალაქეობის არმქონები პირთა დაცვა და დახმარება და მოქალაქეობის არქონის შემთხვევათა აღმოფხვრა ან შემცირება.

ვინ განსაზღვრავს, არის თუ არა პირი ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქე?

პრინციპში, პირის მოქალაქეობის საკითხი ცალკეული სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში ექცევა. თუმცა სახელმწიფოს შიდა გადაწყვეტილებები შესაძლოა შეიზღუდოს სხვა სახელმწიფოების მიერ განხორციელებული მსგავსი ქმედებებისა და საერთაშორისო სამართლის მიერ.

მოქალაქეობის თაობაზე ტურისასა და მარკოს 1923 წლის ბრძანებების შესახებ გამოტანილ საკონსულტაციო დასკუნაში საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმა სასამართლომ განაცხადა:

„არის თუ არა კონკრეტული საკითხი მხოლოდ შიდა იურისდიქციის გადასაწყვეტი, მეტისმეტად შეფარდებითა; იგი მთლიანად ეფუძნება საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას.“

ანუ მუდმივმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პრინციპში მოქალაქეობასთან დაკავშირებული სდავო საკითხები შიდა იურისდიქციის სფეროში ექცევა, სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ თავიანთ ვალდებულებებს სხვა სახელმწიფოების წინაშე, რაც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის მიერ.

ამგვარი მიღვომა კვლავ დაფიქსირდა შვიდი წლის შემდეგ ჰააგის კონვენციაში მოქალაქეობის თაობაზე კანონებს შორის ზოგიერთ საკითხზე კონფლიქტის შესახებ. რა თქმა უნდა, ბევრმა სახელმწიფომ გააკეთა კომენტარი მუდმივი სასამართლოს 1923 წლის საკონსულტაციო დასკუნასთან დაკავშირებით, რადგან ის ეხებიდა მოქალაქეობის შესახებ ჰააგის 1930 წლის კონვენციის მიზანდებას. სახელმწიფოების უმეტესობამ საკონსულტაციო დასკუნა აღიქვა, როგორც კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მის საზღვრებს გარეთ მოქმედების შეზღუდვა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღინიშნება კოლიზია სხვა სახელმწიფოების მიერ ანალოგიურ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

1930 წლის ჰააგის კონვენცია, რომელიც შეიქმნა ერთა ლიგის ასამშლების მხარდაჭერით, პირველი საერთაშორისო მცდელობა იყო იმის უზრუნველსაყოფად, რომ კველა

პირს ჰქონოდა მოქალაქეობა. კონვენციის პირველ მუხლის თანახმად:

„ყოველი სახელმწიფო საკუთარი კანონის თანახმად თვითონ განსაზღვრავს, ვინ არის მასი მოქალაქე, ეს კანონი აღიარებული უნდა იყოს სხვა სახელმწიფოების მიერაც, ვინაიდან იგი მოქალაქეობასთან დაკავშირებული საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო კონვენციების, საერთაშორისო ტრადიციისა და სამართლის პრინციპებს შეესაბამება“.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ პირის მოქალაქეობის სტატუსის გადაწყვეტა უნდა ესადაგებოდეს საერთაშორისო კანონის შესაბამის დადგენილებებს. სუურენული სახელმწიფოს მოთხოვნების გათვალისწინებით, მე-20 საუკუნეში ეს დადგენილებები თანდათანობით განვითარდა ადამიანის უფლებებთან მიმართებაში.

ადამიანის უფლებებათა 1948 წლის საყოველთაო დეკლარაციის მე-15 მუხლი
ნათქვამია:

„ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება. არავის შეიძლება თვითონებურად ჩამოერთოვას მოქალაქეობა ან მოქალაქეობის შეცვლის უფლება“.

აღნიშნული უფლება ემყარება პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის არსებულ უტყუარდა ეფუძნული კავშირს. სულ პირველად მოქალაქეობის საფუძლად ეს კავშირი ცნეს 1955 წელს საერთაშორისო სასამართლოს მიერ ნოტტებომის საქმეზე (Nottebohm Case) მიღებულ გადაწყვეტილებაში. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ განაცხადა:

„სახელმწიფოთა პრაქტიკის, საარპიტრაჟოდა სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სპეციალისტთა მოსაზრების თანახმად, მოქალაქეობა არის სამართლებრივი გალდებულება, რომელსაც საფუძლად უდევს სოციალური კუთვნილების ფაქტორი, უტყუარი კავშირის არსებობა, ინტერესები და გრძნობები, ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობებთან ერთად.“

უტყუარი და ეფუძნული კავშირი, რომელიც დასტურდება დაბადებით, საცხოვრებელი ადგილით და/ან ნარმოშობით, დღეისათვის ასახულია სახელმწიფოთა უმეტესობის საკანონმდებლო დებულებები მოქალაქეობის შესახებ; ისევე, როგორც ამ საკითხთან დაკავშირებულ ბოლოდრონდელ საერთაშორისო დოკუმენტებში, როგორიცაა 1997 წლის ეგრიკის კონვენცია მოქალაქეობის შესახებ.

ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისი სასამართლოს აზრით, მოქალაქეობა არის

„პოლიტიკური და სამართლებრივი გალდებულება, რომელიც პირს მოცემულ სახელმწიფოსთან აკავშირებს და ავალდებულებს მის მიმართ ლოიალურობა-სა და ერთგულებას, ანიჭებს მას სახელმწიფოსაგან დიპლომატიურ დაცვას“ (კასტილო-პეტრუში და სხვები პერუს წინააღმდეგ, 1999 წლის მაისის გადაწყვეტილება, ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისი სასამართლო (IACR) [სერია C] №52 1999).

როგორ არის დაცული ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები?

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მე-15 მუხლი აცხადებს, რომ ყოველ პირს აქვს მოქალაქეობის უფლება, ის არ მოუთითებს კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეობაზე, რომლის მიღების უფლებაც პირს აქვს. იმის დასადასტურებლად, რომ ინდივიდებს ჩამორთმეული არა აქვთ მოქალაქეობასთან დაკავშირებული მინიმალური უფლებები, საერთაშორისო საზოგადოებაში შეიმუშავა

ორი ძირითადი ხელშეკრულება: 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და 1954 წლის კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ.

არსებობს თუ არა რაიმე კავშირი 1951 წლის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციასა და მოქალაქეობის არქონის საკითხებს შორის?

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახლადშექმნილი გაერთიანებული ერეპის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებისთვის ერთ-ერთ გადაუდებელი საკითხი იყო ომის შედეგად მილიონობით ლტოლვილი და მოქალაქეობის არმქონე პირის პრობლემების გადაწყვეტა. გაეროს ეკონომიკური და სოცილური საბჭოს (ECOSOC) მიერ მიღებული რეზოლუციით 1949 წელს შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომელსაც ევალებოდა ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ კონვენციის შემუშავება და მოქალაქეობის უქონლობის აღმისათხვერელად წინადადებების განხილვა.

საბოლოოდ კომიტეტის წევრებმა შეადგინეს კონვენციის პროექტი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და კონვენციის ოქმი, რომელიც ეხმადოდა მოქალაქეობის არმქონე პირებს. კომიტეტს საფუძვლიანად არ უსჯელია მოქალაქეობის უქონლობის აღმოფხვრის თაობაზე, რადგან ვარაუდობდნენ, რომ ამ საკითხს ახლად ჩამოყალიბებული საერთაშორისო სამართლებრივი კომისია (ILC) მოაგვარებდა.

ისტორიულად, როგორც ლტოლვილები, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირები დაცვასა და დახმარებას ღებულობდნენ გლუკის წინამორბედი ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციისგან. კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირების შესახებ მიზნად ისახავდა მათსა და ლტოლვილთა შორის არსებული კავშირის ასახვას, მაგრამ ლტოლვილთა გადაუდებელი საჭიროებები და ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციის გარდაუცვლი დაშლა მიანიშნებდა, რომ მოქალაქეობის არმქონე პირების მდგომარეობის დეტალური ანალიზისათვის საკმარისი დრო არ დარჩებოდა უფლებამოსილ წარმომადგენელთა 1951 წლის კონვენციაზე, სადაც ორივე საკითხი უნდა განხილულიყო. მართლაც, 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ამ კონფერენციაზე მიიღეს, ხოლო მოქალაქეობის არ მქონე პირთა შესახებ ოქმის განხილვა მომავლითავის გადაიდო.

ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის თანახმად, მოქალაქეობის არმქონე ლტოლვილი დაცულია ამ სტატუსის მქონე ლტოლვილის მსგავსად. ვინაიდან მას რასის, რელიგიის, ეროვნების ან გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების საფუძველზე მტკიცე უარს ეუძღვებიან მოქალაქეობაზე, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ პირი უნდა ცნონ ლტოლვილად.

რას ითვალისწინებს 1954 წლის კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ?

ოქმი მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ, რომელიც თავდაპირველად ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის დამატება იყო, 1954 წელს კონვენციად იქცა. 1954 წლის კონვენცია პირველი საერთაშორისო დოკუმენტია, რომლის მიზნს წარმოადგენს მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის რეგულირება, მათი მდგომარეობის გაუმჯობესება და, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებით სარგებლობის უზრუნველყოფა (1954 წლის კონვენციის მონაცილე სახელმწიფოების სიის გასაცნობად იხილეთ დანართი 1).

ამ კონვენციის დებულებები მრავალმხრივ ჰყავს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციას. კონვენციასთან შეერთებით ვერ გადაწყვეტა სახელმიწოდების ტერიტორიაზე დაბადებული ან მუდმივად მცხოვრები პირებისათვის მოქალაქეობის მინიჭების

საჭიროების საკითხი. როგორი შეუზღუდავიც არ უნდა იყოს მოქალაქეობის არმქონე პირისთვის მინიჭებული უფლებები, ის მოქალაქეს მაინც ვერ გაუთანაბრდება.

1954 წლის კონვენცია იძლევა მოქალაქეობის არმქონე პირის მეტაც სამართლებრივ განსაზღვრებას: „პირი, რომელიც არ ითვლება არც ერთი სახელმწიფოს მოქალაქედ ამ სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“ (რაც ცნობილია, როგორც დე იურე მოქალაქეობის არმქონე პირი).

306 არის მოქალაქე?

306 არის მოქალაქეობის არამოვნე პირი?

მოქმედი კანონის თანახმად, მოქალაქედ მიიჩნევა პირი, რომელიც ავტომატურად ითვლება მოქალაქედ იმ პირობების თანახმად, რომელიც მოცემულია მოქალაქეობის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებულს სამართლებრივ დოკუმენტებში ან პირი, რომელსაც მიენიჭა მოქალაქეობა შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე. ამგვარ დოკუმენტებად შეიძლება ჩაითვალოს კონსტიტუცია, პრეზიდენტის ბრძანებულებანი ან მოქალაქეობის დადგნის აქტი. ჩვეულებრივ, ადამიანების უმეტესობა მოქალაქედ ითვლება მხოლოდ ერთი სახელმწიფოს კანონების თანახმად ან იმ სახელმწიფოს კანონების თანახმად, სადაც ის დაბადა (jus soli), ან იმ სახელმწიფოს კანონების თანახმად, რომლის მოქალაქებიც იყვნენ პირის მშობლები მისი დაბადებისას (jus sanguinis).

როდესაც ადმინისტრაციული პროცედურა ითვალისწინებს მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნის თავისუფლებას, მოქალაქეობის მიღების მსურველები არ ჩაითვლებან მოქალაქეებად, ვიდრე არ დასრულება მათი განცხადებების განხილვა და დამტკიცება და კანონის შესაბამისად არ მიენიჭებათ სახელმწიფოს მოქალაქეობა. პირები, რომელებიც აპირებენ შეიტანონ მოქალაქეობაზე განაცხადი და ისინი, რომელებმაც გამოიყენეს უფლება გაკეთებინათ ასეთი განცხადი, მაგრამ უარი ეთვათ, აღნიშნულ სახელმწიფოში მოქმედი კანონის თანახმად ვერ ჩაითვლებან ამ სახელმწიფოს მოქალაქეებად.

პირები, რომელთაც ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქმედი კანონების საფუძველზე არ მიუღიათ მოქალაქეობა ავტომატურად ან ინდივიდუალური გადაწყვეტილების გზით, ინოდებან დე იურე მოქალაქეობის არმქონე პირებად, ანუ პირებად, რომელთაც მოქალაქეობა არ გააჩნიათ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

ითვლება, რომ პირს გააჩნია მოქალაქეობა, თუ არ არსებობს საწინააღმდეგოს დოპადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. ზუმცა ზოგჯერ სახელმწიფოები, რომელთანაც პირს შესაძლოა ჰქონდეს უტყუარი კავშირი, ვერ თანხმდებით იმაზე, თუ რომელმა მათგანმა მიანიჭა ამ პირს მოქალაქეობა. აქედან გამომდინარე, პირს არ შეუძლია საკუთარი თავი დე იურე მოქალაქეობის არმქონე პირად გამოაცხადოს, თუმცა, თუკი მას არ გააჩნია ფაქტობრივი მოქალაქეობა და ვერ სარგებლობს სახელმწიფოებრივი დაცვით, იგი განიხილება დე ფაქტო მოქალაქეობის არმქონე პირად.

მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის შემქმნელებმა აუცილებლად მიიჩნიეს დე იურე (პირები, რომელთაც არ მიუღიათ მოქალაქეობა ავტომატურად ან ინდივიდუალური გადაწყვეტილების გზით რომელიმე სახელმწიფოს მოქმედი კანონების საფუძველზე) და დე ფაქტო მოქალაქეობის არმქონე პირთა (პირები, რომელთაც არ შეუძლიათ საკუთარი მოქალაქეობის დადგნის) შორის სხვაობის დადგენა, აღიარეს ამ ორ ცნებას შორის არსებული მსგავსებაც. კონვენციის საბოლოო აქტი დე ფაქტო მოქალაქეობის არმქონე პირთათვის ითვალისწინებს არასავალდებულო რეკომენდაციას და

„ურჩევს, ყოველ მონაწილე სახელმწიფოს, თუკი საფუძვლიანად ჩათვლის იმ

მიზეზებს, რომელთა გამოც პირი უარს ამბობს თავისი მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობაზე, კეთილგანწყობით განიხილოს მისადმი იმგვარი მოპყრობის შესაძლებლობა, როგორიც ამ კონვენციით ეკუთვნით მოქალაქეობის არმქონე პირებს.“

სახელმწიფო დადგენილი პროცედურების თანახმად იღებს გადაწყვეტილებას, მიანიჭოს თუ არა პირს კონვენციით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის უფლება. საჭიროების შემთხვევაში, თავისი წარმომადგენლობების/ოფისების ან სათაო ოფისის სამსახურების მეშვეობით გლუკს შეუძლია მისცეს რჩევები, თუ როგორ შეიძლება ამ პროცედურების შემუშავება და აღსრულება (გლუკის ოფისების სია იხილეთ მე-4 დანართში).

შესაძლებელია თუ არა, რომ მოქალაქეობის არმქონე პირიც იყოს ლტოლვილი?

დე ფაქტო მოქალაქეობის არმქონე პირები არ იგულისხმებან 1954 წლის კონვენციისულ მოქალაქეობის არმქონე პირის განსაზღვრებაში. 1954 წლის კონვენციის ავტორებმა ჩათვალეს, რომ ყველა პირი, რომელსაც არ გააჩნია ფაქტობრივი მოქალაქეობა – ანუ საუბარია ყველა დე ფაქტო მოქალაქეობის არმქონე პირზე – არის ლტოლვილი (კონვენციის ატრიტუმი მიმჩნევს, რომ პირი დე ფაქტო მოქალაქეობის არმქონე იქცევა სახელმწიფო მხრიდან დევნის გამო საკუთარი მოქალაქეობის ქვეყნიდან გაქცევის შემდეგ და ამასთან, ეს დევნა დაკავშირებული იყო ფაქტობრივი მოქალაქეობის არ ქონასთან) ამ განსაზღვრების შედეგად დე ფაქტო მოქალაქეობის არმქონე პირები ლტოლობები დახმარებას ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის დებულებების თანახმად.

თუმცა, დე იურე ან დე ფაქტო მოქალაქეობის არქონა ყოველთვის არ მიგვანიშნებს დევნაზე („დევნის საფუძვლიანი შიში“ ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის ლტოლვილის განსაზღვრების უმთავრეს საფუძველსას წარმოადგენს). წლების მანძილზე ნათელი გახდა, რომ არსებობენ დე ფაქტო მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელიც არ იღებენ მოქალაქეობას მუდმივი ადგილსამყოფელის ქვეყანაში, არ მიიჩნევან არც ლტოლვილებად და არც დე იურე მოქალაქეობის არმქონე პირებად ფაქტობრივად, მოქალაქეობის არმქონე პირთა უმრავლესობა, რომელიც დამარტებას ითხოვნ გლუკისან, იქნებან ეს დე იურე თუ დე ფაქტო მოქალაქეობის არმქონენი, არ არიან ლტოლვილები და არ ითხოვნ თავშესაფარს.

რას ითვალისწინებს 1961 წლის კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვის შესამცირებლად?

1950 წლის აგვისტოში ეკონომიურმა და სიციალურმა საბჭოობ (ECOSOC) რეზოლუციის საფუძველზე მოსთხოვა საერთაშორისო სამართლის კომისიას (ILC), მოემზადებინა საერთაშორისო კონვენციის ან კონვენციების პროექტი მოქალაქეობის უქონლობის აღმოსაფეხვრელად. კომისიამ (ILC) განსაზღვრულად წარადგინა კონვენციის ორი პროექტი, ორივე მათგანი კანონთა კოლეზით გამოწვეულ მოქალაქეობის უქონლობის პრობლემას შეეხდოდა, ერთი მათგანი, რომელიც მოქალაქეობის შესაძლო უქონლობის აღმოფხვრას გულისხმობდა, მოიცავდა ბევრად უფრო შორს მიმაგალ დებულებებს, ვიდრე მეორე კონვენციის პროექტი, რომელიც ორიენტირებული იყო მომავალში მოქალაქეობის არქონის შემთხვევების შემცირებაზე. კონფერენციის მონაწილეებმა, პროლეტიც ამ საკითხის განსაზღვრელად შეიკრიბნენ, კონვენციის პირველი პროექტი მეტად რადიკალურად მიიჩნევს და გადაწყვიტეს მუშაობა გაეგრძელებინათ მომავალში მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვის შემცირების კონვენციის პროექტზე. ამ განხილვის შედეგად შექმნილი დოკუმენტი გახლავთ 1961

წლის კონვენცია მოქალაქეობის არქონები პირთა რაოდენობის შემცირების შესახებ (1961 წლის კონვენციის წევრ სახელმწიფოთა სია იხილეთ მე-2 დანართში).

კონვენციის მუხლების მიზანია, არ დაუშვას დაბადებიდანვე მოქალაქეობის არქონა, მაგრამ ეს დებულებები არ კრძალავს გარკვეულ შემთხვევებში არც მოქალაქეობის ჩამორთმევის შესაძლებლობას, არც არსებული მოქალაქეობის არმქონე ყველა პირისთვის მოქალაქეობის მინიჭებას კანონის უკუმედებით. კონვენცია ასევე ითვლის წინებს სპეციალური ორგანოს შექმნას, რომელსაც შეიძლება მიმართოს კონვენციის ფარგლებში მოხვედროლმა პირმა მისი საჩივრის განსახილველად და ამ საჩივრის სათანადო ორგანოებში წარსადგენად მოითხოვოს დახმარება. მოგვიანებით გენერალურმა ასამბლეამ გლუქს სთხოვა, შეესრულებინა ეს როლი.

საერთაშორისო სამართლის კომისია (ILC) და სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა დაადგინეს, რომ აუცილებელია საერთაშორისო დაბარება, რადგან როდესაც პირს უარს ეუბნებიან სახელმწიფოს მოქალაქეობაზე, მას არ ექნება არც ფინანსური შესაძლებლობა და არც საჭირო კვალიფიკაცია, რათა სახელმწიფო ორგანოებს წარუდგნოს განაცხადი მიერადებაზე. ვერც სხვა სახელმწიფო შეძლებს ამ საკითხში პირის ინტერესების სათანადოდ დაცუას. საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ პირის წარმომადგენლობა ასევე აგვარიდებს შეკითხვას, არის თუ არა პირი საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ამის გარდა, სააგენტო, რომელსაც ამ საქმის მოგვარება დაევალება, საბოლოოდ განავითარებს ცოდნას და გამოცდილებას იმ საკითხებში, რომლებიც სასარგებლო იქნება არა მხოლოდ ცალკეული პირებისთვის რჩევების მისაცემად, აგრეთვე, ზოგადად, სრულყოფილი მოქალაქეობის მოსაპოვებლად საჭირო გზების შეთავაზებისა და მოქალაქეობის არქონის შემთხვევების შესამცირებლად.

მოქალაქეობის არქონის შემთხვევების შემცირების მისალწევად 1961 წლის კონვენცია მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვს მოქალაქეობის საკითხებზე ისეთი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას, რომელიც მოქალაქეობის მიღების ან დაკარგვის თაობაზე დადგენილ სტანდარტებს ასახავს. იმ შემთხვევაში, თუ წევრ-სახელმწიფოებს შორის წარმოშვება დავა კონვენციის ინტერპრეტაციის ან განსხორციელების თაობაზე და მისი მოგვარება შეუძლებელი გახდა სხვა საშუალებებით, დავის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საერთაშორისო სასამართლოს.

კონვენციის საბოლოო აქტი მოიცავს რეკომენდაციას, რომელიც ძალიან ჰგავს 1954 წლის კონვენციის საბოლოო აქტის რეკომენდაციას, რომელიც მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, შეძლებისდაგვარად გამოიყენონ კონვენციის დებულებები დე ფაქტო მოქალაქეობის არქონები პირებთან მიმართებაშიც.

„ერთ დღეს საზღვრებს შორის ვიდევ და ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ვახერხებდი შედწევას. ეს იყო დაუვინწყარი მომენტი ჩემს ცხოვრებაში! არ შემძლო შესვლა იმ ქვეყანაში, სადაც ვიშეოფაბოდ მანამდე; ვერ შევდიოდ ვერც იმ ქვეყანაში, სადაც დავიბადე, ალვიზარდე და ვაცხოვრე! რომელ ქვეყანას ვეკუთვნი? დღემდე ვერ ვივინწყებ დაკარგულობის შეგრძნებას, რომელიც აუროპორტში განვიცადე.“

ჩენი, ყოფილი მოქალაქეობის არმქონე პირი

როგორ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა კანონმდებლობა მოქალაქეობის უფლებას?

მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი ეხება მოქალაქეობის უფლებას. გათხოვილ ქალთა მოქალაქეობის შესახებ 1957 წლის კონვენცია ეხმაურება

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, აყალიბებს რა მოქალაქეობის და მოქალაქეობის ჩამოურთმევლობის უფლებას. ის ასევე ჰოპულარიზებას უწევს „ადამიანის უფლებების დაცვისა და ფუნდამენტური თავისუფლებებისადმი საყოველთაო პატივისცემას სქესის განურჩევლად.“ კოხვენციის პირველი სამი მუხლი შეიცავს სპეციფიკურ დებულებებს მეუღლის (ცოლის) მოქალაქეობის შესახებ:

მუხლი 1 ადგენს, რომ „უცხო ქეყნის მოქალაქესა და ადგილობრივს შორის არც ქორწინება, არც გაყრა და არც ქორწინების შერიოდში ქმრის მიერ მოქალაქეობის შეცვლა ავტომატურად არ იმოქმედებს მისი მეუღლის (ცოლის) მოქალაქეობაზე.“

მუხლი 2 აცხადებს, რომ „ერთ-ერთი მეუღლის მიერ ვერც უცხო ქეყნის მოქალაქეობის ნებაყოფლობითი მიღება და ვერც საკუთარ მოქალაქეობაზე უარის თქმა ვერ იმოქმედებს მისი ცოლის მიერ საკუთარი მოქალაქეობის შენარჩუნებაზე.“

მუხლი 3, რომელიც ორ ნაწილად იყოფა, ადგენს, რომ ”რომელიმე წევრი სახელმწიფოს მოქალაქე ცოლს საკუთარი სურვილისამებრ შეუძლია მიღოს მეუღლის მოქალაქეობა ნატურალიზაციის შედავათიანი პროცედურების გავლით“ და რომ „ამგვარი მოქალაქეობის მინიჭება შესაძლოა შეზღუდოს ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე“. იგი ასევე ადგენს, რომ წევრმა სახელმწიფომ არ უნდა განმარტოს კონვენცია ისე, თითქოს „იგი გავლენას ახდენს კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ პრაქტიკაზე, რათა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეის უცხოელ ცოლს, მოთხოვნისამებრ, მიეცეს უფლება მიღოს მეუღლის მოქალაქეობა“.

წლის კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ „უზრუნველყონ ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილებისა“, განსაკუთრებით ადამიანის ზოგიერთი ფუნდამენტური უფლების გამოყენებისას, მოქალაქეობის უფლების ჩათვლით (მუხლი 5).

1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 24-ე მუხლი აცხადებს:

„თითოეულ ბავშვებს რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, ეროვნული თუ სოცილური წარმოშობის, ქონებრივი ძღვიმორეობისა თუ დაბადების გამო ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს უფლება დაცვის ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც მას, როგორც მცირებლოვანს, უნდა გაუწიონ მისმა ოჯახმა, საზოგადოება და სახელმწიფომ.“

„თითოეული ბავშვი რეგისტრირებული უნდა იყოს დაუყოვნებლივ დაბადების შემდეგ და უნდა ჰქონდეს სახელი“.

„თითოეულ ბავშვს აქვს მოქალაქეობის მიღების უფლება“.

ამ პაქტის 26-ე მუხლი ასევე ადგენს, რომ „ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სარგბლობს კანონის დაცვით. ამ მხრივ, კანონით უნდა აიკრძალოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და უზრუნველყონ ფინანსურების სამართლების, პოლიტიკური და ეფექტური დაცვა რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, სარწმუნოების, ქონებრივი დაცვისა და ეფექტური დაცვა მოსაზრების, ეროვნული თუ სოცილური წარმომავლობის, ქონებრივი დაცვისა და ეფექტური დაცვა მოსაზრების, დაბადებისა თუ სხვა საფუძველზე განხორციელებული დისკრიმინაციისგან“.

1979 წლის კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ მე-9 მუხლში აცხადებს, რომ:

„მონაწილე სახელმწიფოები ქალებს ანიჭებენ მამაკაცებთან თანაბარ უფლებას მიიღონ, შეიცვალონ ან შეინარჩუნონ თავიანთი მოქალაქეობა. ისინი, კერძოდ, უზრუნველყოფენ, რომ არც უცხოელთან ქორნინება, არც ქმრის მოქალაქეობის შეცვლა ქორნინების დროს არ ინკვეს ცოლის მოქალაქეობის ავტომატურად შეცვლას, არ აქცევს მას მოქალაქეობის არმქონებირად და არ შეიძლება აიძულონ იგი მიიღოს ქმრის მოქალაქეობა.“

„მონაწილე სახელმწიფოები ქალებს ანიჭებენ მამაკაცებთან თანაბარ უფლებას მათი შვილების მოქალაქეობის მიმართ.“

ბავშვის უფლებათა 1989 წლის კონვენცია, რომელიც რატიფიცირებულია თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ, მოქალაქეობასთან დაკავშირებით ორ მნიშვნელოვან მუხლს შეიცავს:

მუხლი 2 მიუთითებს, რომ „წევრი სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიკიის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ნინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ უფლებას, დაცული იყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისაგან როგორც თავად, ისე მისი მშობლები ან კანონიერი მეურვეები რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური ნარმობობის, ქონებრივი მდგომარეობის, ჯანმრთელობის, დაბადების ან სხვა სტატუსის მოუხედავად.“

მუხლი 7 მოითხოვს, რომ ბავშვი რეგისტრაციაში გატარდეს დაბადებისთანავე, დაერქვას სახელი და მიენიჭოს მოქალაქეობის მიღების უფლება; აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მას უფლება აქვს იცოდეს მშობლების ვინაობა და იყოს მათი მზრუნველის ქვეშ. „მუხლი ასევე ადგენს, რომ „წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ამ უფლებათა განხორციელებას ეროვნული კანონმდებლობის და ამ სფეროში არსებული საერთაშორისო დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად; განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი სხვაგვარად მოქალაქეობის არმქონებინავათ.“

1971 წლიდან ბანაკში ვცხოვრიბ და იმედი მაქსა, რომ სულ მალე ჩემს შვილებთან ერთად სხვაგან გადავსახლდები. მე მსურს მქონდეს იგივე უფლებები, რაც ბანგლადეშის მოქალაქეებს აქვთ. ჩვენ არ გავგაჩნია ცხოვრების ლრსეული პირობები: ბანაკში ბავშვები სათანადოდ არ იზრდებიან, ვერ ღებულობენ განათლებას და უცოდინრობის გამო მხოლოდ უბადეს სამსახურს უნდა დასკერდნენ.“

სეიდაპა, ბანგლადეშში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი

არსებობს თუ არა რაიმე რეგიონული ხელშეკრულებები მოქალაქეობის უფლებასთან დაკავშირებით?

რეგიონული დოკუმენტები აძლიერებენ მოქალაქეობის უფლების სამართლებრივ საფუძვლის. ამერიკის ადამიანის უფლებების კონვენციის (1969 წ.) მე-20 მუხლი აცხადებს, რომ:

„ყველა ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება. ყველა ადამიანს აქვს იმ ქვეყნის მოქალაქეობის მიღების უფლება, რომლის ტერიტორიაზეც ის დაიბადა, თუ მას არ გააჩნია სხვა ქვეყნის მოქალაქეობის უფლება. არავის უნდა

ჩამოერთვას უსაფუძღლოდ მოქალაქეობის ან მისი შეცვლის უფლება. “

აბ პრინციპებს შემდგომში მხარი დაუჭირეს ამერიკათა შორისი სასამართლოს პრეცედენტებმა. სასამართლომ დაადასტურა, რომ პირობები, რომლის თანამშადაც ხდება მოქალაქეობის მინიჭება, რჩება სახელმწიფოს შიდა იურისდიქციის ფარგლებში. სასამართლომ ასევე აღმოაჩინა, რომ:

„მიუხედავად ტრადიციულად მიღებული დებულებისა, რომ მოქალაქეობის მინიჭება და ცნობა თითოეული სახელმწიფოს გადასაწყვეტია, თანამედროვე განვითარება მიანიშნებს, რომ საერთაშორისო სამართლი სახელმწიფოებს კონკრეტულ შეზღუდვებს უწევს იმ ფართო უფლებებზე, რომლითაც ისინი სარგებლობებს ამ სფეროში. მეთოდი, რომლითაც სახელმწიფოები არეგულირებს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, დღესდღეობით ვერ ჩაითვლება მხოლოდ მათი იურისდიქციის ფარგლებში მოქცეულად.“ (ადამიანის უფლებათა ამერიკათა შორისი სასამართლო, სარეკომენდაციო მოსაზრება, „კვლილებები კოსტა რიკას კონსტიტუციის ნატურალურაციის დადგენილებებში“, 1984 წლის ადამიანის უფლებათა სამართლის უურნალის (HRL) მე-5 ტექსტი; აბზაცები 32-34)

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ მათი შიდა ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო შედეგები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც კანონის განხორციელება მოქალაქეობის უქონლობის მიზანად იქცევა.

1963 წელს მიიღეს ევროპული კონვენცია მრავალმოქალაქეობის შემთხვევების რიცხვის შემცირებისა და მრავალმოქალაქეობის შემთხვევების სამხედრო სამსახურთან დაკავშირებულ ვალდებულებათა შესახებ. ეს კონვენცია ეფუძნებოდა დასავლეთ ევროპის ბევრი სახელმწიფოსთვის იმ პერიოდში მისაღებ შეხედულებას, რომ მრავალმოქლაქეობს შემთხვევების არსასურველია და საჭიროა მათი აკრისალვა. ვინაიდან 1963 წლის კონვენცია შემოიფარგლებოდა მხოლოდ მრავალმოქალაქეობის საკითხებით, 1977 და 1993 წლებში კონვენციას დაემატა ორი ოქმი, რომლებც მომიჯნავე საკითხებს მოიცავდნენ და ასახავდნენ მოქალაქეობის სფეროს კონცეფციას და პრაქტიკაში განვითარებულ ცვლილებებს. მაგალითად, კონვენციის მეორე ოქმი ორმაგი მოქალაქეობის მიღების უფლებას იძლევა მეორე თაობის მიგრანტებისა და შერეული ქორწინების შემთხვევაში როგორც მეუღლებების, ასევე მათი შეიღებისთვის.

ევროპული 1997 წლის კონვენცია მოქალაქეობის შესახებ ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული კიდევ ერთი რეგიონული დოკუმენტია, რომელიც შეიქმნა გაცნობიერებული აუცილებლობის საფუძვლზე. საჭირო იყო ისეთი დოკუმენტი, რომელიც გაერთიანებდა მოქალაქეობის კანონებთან დაკავშირებული კონფლიქტების თაობაზე შიდა და საერთაშორისო სამართლის განვითარების ყველა საფეხურს ჰქანავს 1930 წლის კონვენციიდან მოყოლებული დღემდე. 1997 წლის კონვენცია არც ცვლის 1963 წლის კონვენციას და არც შეუსაბამობაში მასთან. მოქალაქეობის შესახებ 1997 წლის კონვენცია მრავლობითი მოქალაქეობის მიღების უფლებას აძლევს სხვადასხვა მოქალაქეობის მქონე დაქორწინებულ პირებს და მათ შევილებს. კონვენცია ასევე მოიცავს მოქალაქეობის მიღების, შენარჩუნების, დაკარგვის, ალდგენის პროცედურული უფლებების, სამართლმეცვიდრე სახელმწიფოთა მოქალაქეობის, სამხედრო ვალდებულებების და წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის საკითხებს. კონვენცია შეცავს მრავალ დებულებას, რომელთ მისანიცაა მოქალაქეობის უქონლობის წარმოშობის აღკვეთა. კონვენცია ეყრდნობა მოქალაქეობის არქეონე პირთა შესახებ 1954 წლის კონვენციას, რომლის საფუძველზეც არს განსაზღვრული მოქალაქეობის არმქონე პირის რაობა, ანუ ევროპული კონვენცია მოქალაქეობს შესახებ შეხება შხოლოდ დე იურე მოქალაქეობის არმქონე პირებს.

ახლო წარსულში ევროპაში სახელმწიფოთა საზღვრების შეცვლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ უამრავი ადამიანი დგება მოქალაქეობის უქონლობის საფრთხის წინაშე, ვინაიდან მათ შესაძლოა დაკარგონ ძევლი მოქალაქეობა ახლის მიღებამდე. ერთო სახელმწიფოს მიერ მეორესთვის ტერიტორიის გადაცემს, სახელმწიფოების გაერთიანების, დაშლის, განცალევების ან მისი ტერიტორის ნაწილის ან ნაწილების გამოყოფის შედეგად სამართალმემკვიდრე სახელმწიფოების წარმოშობისას მოქალაქეობის არმქონეთა გაჩენის თავიდან აცილების მიზნით ევროსაბჭომ მიიღო სამართალმემკვიდრე სახელმწიფოთა წარმოშობის შედეგად მოქალაქეობის უქონლობის თავიდან აცილების შესახებ კონვენცია. ეს დოკუმენტი მიიღეს 2006 წლის 15 მარტს და მოიცავს სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს წარმოშობის პირობებში მოქალაქეობასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ წესებს. მისი 22 მუხლი გვთავაზობს პრაქტიკულ სახელმძღვანელო პრინციპებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ყოფილი და მომავალი სახელმწიფოების პასუხისმგებლობა, მტკიცების წესები, დაბადებით მოქალაქეობის უქონლობის თავიდან აცილება, მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ მოქალაქეობის მიღებაში დახმარება და ა. შ..

1999 წელს აფრიკის ერთობის ორგანიზაციამ (ამჟამად აფრიკის კავშირი) მიიღო **აფრიკული ქარტის ბავშვთა უფლებების და კეთილდღეობის შესახებ**. ბავშვთა უფლებების კონვენციის მოდელზე შექმნილი ქარტია იზირებს მანამდე არსებული კონვენციის ძირითად პრინციპებს, როგორიცაა დისკრიმინაციის აღკვეთა და ბავშვის ინტერესებისთვის უპირველესი მნიშვნელობის მინიჭება. ქარტის მე-6 მუხლი, რომელშიც საუბარია სახელსა და მოქალაქეობაზე, ამტკიცებს რომ:

- ყოველ ბავშვს დაბადებისთანავე უნდა ჰქონდეს სახელის ტარების უფლება;
- ყოველი ბავშვი დაბადებისთანავე უნდა იყოს რეგისტრირებული;
- ყოველ ბავშვს უნდა ჰქონდეს მოქალაქეობის მიღების უფლება;
- ქარტის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი კონსტიტუციური კანონმდებლობის მიერ იმ პრინციპების აღიარება, რომელთა თანახმადაც ბავშვმა უნდა მიიღოს იმ სახელმწიფოს მოქალაქეობა, რომლის ტერიტორიაზეც დაბადა, თუ დაბადების მომენტი არ მიენიჭს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა იმ ქვეყნის კანონების თანახმად.

თავი 2

მოქალაქეობის არმქონე პირთა იღენტიფიცირება და დაცვა

მოქალაქეობის შესახებ ეროვნული კანონების, მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვის შემცირების შესახებ 1961 წლის კონვენციისა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტების სამუალებით მოქალაქეობის უქონლობის შემთხვევების შემცირების მცდელობის მიუხედავად, გლუკი-ს მონაცემებით მსოფლიოში მილიონობით ადამიანი ცხოვრობს მოქალაქეობის გარეშე. გაერთოს 1954 წლის კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ ადგენს, თუ ვინ არის მოქალაქეობის არმქონე პირი, ხელს უწყობს მათ სამართლებრივ იდენტიფიცირებასა და ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებით დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობას.

„ჩვენ ვერ ვშოულობთ მუდმივ სამსახურს, არ შეგვიძლია გადაადგილება, იმ ნავებს ვვავართ, რომელთაც ნავთსაყუდელი არ გააჩნიათ. განათლებაც და ჯანდაცვაც ჩვენთვის მოუწვდომელია. მე ვერ დავამთავრე სკოლა და ვერ მოვწვდი კოლეჯში. მხოლოდ კერძო კლინიკაში მისვლა შემიძლია და არა სახელმწიფოში.“

აბდულა, მოქალაქეობის არმქონე ბედუინი, მცხოვრები არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში

ვინ არის მოქალაქეობის არმქონე პირი?

1954 წლის კონვენცია მოქალაქეობის არმქონეს უწოდებს პირს, რომელიც „არ ითვლება არც ერთი სახელმწიფოს მოქალაქედ იქ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“ (მუხლი 1.) ეს მხოლოდ სამართლებრივი განსაზღვრებაა. იგი არ ესება მოქალაქეობის ხარისხს, მინიჭების მეთოდებს ან ხელისაწვდომობას. განსაზღვრება უბრალოდ შეეხება კანონის მოქმედებას, რომლის მიხედვითაც ქვეყნის კანონმდებლობა მოქალაქეობის შესახებ *ex lege*, ანუ ავტომატურად ადგენს, ვინ არის მოქალაქე.

მოკემული განსაზღვრების თანახმად, „მოქალაქეობის არმქონე პირად“ აღიარებისთვის პირმა უწდა დაამტკიცოს სანინააღმდეგო, ანუ ის, რომ მას არანაირი სამართლებრივი კავშირი არ აქვს რომელიმე კონკრეტულ სახელმწიფოსთან.

მოქალაქეობის უქონლობის მტკიცების შემთხვევაში სახელმწიფოებმა უნდა გადახედონ იმ ქვეყნების კანონმდებლობას მოქალაქეობის შესახებ, რომელთანაც პირს ადრე გააჩნია კავშირი (მაგალითად, როგორიცაა დაბადების ადგილი, ყოფილი მუდმივი საცხოვრებელი, სახელმწიფო (ან სახელმწიფოები), რომლის მოქალაქეებიც არიან მეუღლე ან შეიღები, მშობლები ან ბებია და ბაბუა), ამ ქვეყნებთან კონსულტაციები გაიარონ და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვონ მტკიცებულება. სახელმწიფოებმა პიროვნებისაგან უნდა მოითხოვონ სრული თანამშრომლობა და ყველა საჭირო ფაქტის და ინფორმაციის მიწოდება. გლუკის შეუძლია სახელმწიფოებს შორის კონსულტაციებს შეუწყოს ხელი და მოთხოვნის შემთხვევაში, სხვადასხვა სახელმწიფოსგან მოპოვოს შესაბამის კანონებსა და მათ შესრულებასთან დაკავშირებული ტექნიკური ინფორმაცია.

სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი საბუთები, რომლებიც ადასტურებენ კონკრეტული პირის მოქალაქეობის უქონლობას, მტკიცებულების სანდო ფორმას. თუმცა ამგვარი მტკიცებულება ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი. წარმოშობის

ან ყოფილი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის შესაბამისმა ორგანოებმა შესაძლოა უარი განაცხადონ მოქალაქეობის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემზე ან უპრალი უპასუხოდ დატოვონ მოთხოვნა. ზოგიერთი სახელმწიფოს ხელისუფლებამ შესაძლოა უარი განაცხადოს იმის დადგენაზე, თუ რომელ პირს არ აქვს მასთან სამართლებრივი კავშირი. აქედან გამომდინარე, თუ სახელმწიფო უარს აცხადებს პირის მოქალაქეობის დადასტურებაზე, ეს უარი თავისთავად მტკიცებულებაა, ვინაიდან სახელმწიფო თავის მოქალაქებზე აუცილებლად გაავრცელებდა დიპლომატიურ დაცვას.

შესაძლებელია თუ არა, რომ პირზე არ გავრცელდეს 1954 წლის კონვენციის დებულებები?

1954 წლის კონვენციის პრეამბულა ადასტურებს, რომ მოქალაქეობის არმქონე ლტოლების მოიცავს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენცია და, აქედან გამომდინარე, მათ არ ეხება 1954 წლის კონვენცია.

მოქალაქეობის არმქონე პირის განსაზღვრის გარდა, 1954 წლის კონვენციის პირველი მუხლი გამოყოფს იმ პირებსაც, რომლებზეც მიუხედავად იმისა, რომ ექცევიან ამ ცნების ჩარჩობები (ანუ ისინიც მოქალაქეობის არმქონე პირები არიან), გარკვეული მიზნების გამო კონვენცია არ ვრცელდება – ისინი ან არ საჭიროებენ ამგვარ დაცვას, ვინაიდან უკვე სარგებლობები კონვენტული სამართლებრივი სქემებით, ან საერთაშორისო დახმარებით, ან არ იმსახურებენ საერთაშორისო დაცვას ჩადენილი დანაშაულის გამო. აქ იგულისხმებიან პირები:

- „რომლებიც სარგებლობებ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის გარდა გაერთიანებული ერების სხვა ორგანოების ან სააგენტოების დაცვით ან დახმარებით მანამ, სანამ ეს დახმარება გაგრძელდება.“
- „გაერთიანებული ერების ახლო აღმოსავლეთში პალესტინელი ლტოლვილებისთვის დახმარებისა და სამუშაოების სააგენტო (UNRWA) ამჟამად გაეროს ერთადერთი ორგანო, რომელსაც ეს დებულება ეხება.“
- „რომელთა მიმართაც ადგილსამყოფელი ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფლება ცნობს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებს.“

ეს იმას ნიშანავს, რომ თუ მოქალაქეობის არმქონე პირს ქვეყანაში გააჩნია კანონიერი საცხოვრებელი ადგილი და ენიჭება იმაზე მეტი უფლებები, ვიდრე 1954 წლის კონვენცია ითვალისწინებს, კერძოდ კი სრული ეკონომიკური და სოციალური უფლებები, რითაც ქვეყნის მოქალაქე სარგებლობს დეპორტაციისა და გაძვევებისაგან დაცვის ჩათვლით, მშინ ამ პირის მიმართ კონვენციის დებულებების გამოყენება საჭირო არ არის იმის მიუხედავად, რომ ეს პირვენება მოქალაქეობის არმქონე პირია.

- „რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული მშვიდობის ნინააღმდევე, სამხედრო დანაშაული ან დანაშაული კაცობრიობის ნინააღმდევე, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო დოკუმენტებში;“
- „რომლებმაც ჩაიდინეს არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ამ ქვეყანაში შესვლის ნებართვის მიღებამდე“ ან „პრილი მიუძღვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების სანინაღმდევე ქმედებებში.“

როდის აღარ ჩაითვლება პიროვნება მოქალაქეობის არმქონე პირად ?

მოქალაქეობის არმქონედ პირი აღარ ჩაითვლება, როდესაც ის მოქალაქეობას მიიღებს.

2003 წლის დეკემბერში ეთიოპიაში და 2004 წლის ნოემბერში კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიიღეს მოქალაქეობის შესახებ კანონები, რაც მიზნად ისახავს ამ ორ ქვეყანაში ბევრი მოქალაქეობის არ მქონე ადამინის პრიობლემების მოგვრარებას. ამას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება. ეთიოპის კანონმდებლობა იქ მცხოვრებ უამრავ ადამიანს აძლევს მოქალაქეობის ხელმეორედ მიღებს უფლებას, მაშინ როდესაც კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი კანონები ხელს უწყობს ქვეყნის მოქალაქეთა ჯგუფის დადგენას.

რა პროცედურებს მიმართავენ პირის მოქალაქეობის არქონის დასადგენად?

მართალია, 1954 წლის კონვენცია გვთავაზობს მოქალაქეობის არმქონე პირის განსაზღვრებას, მაგრამ არ შეუტანავებია შესაბამისი პროცედურა. ამდენად, ეს სახელმწიფოს და იმ პირთა ინტერესებშია, ვისზეც ვრცელდება ეს კონვენცია, რათა სახელმწიფომ ისეთი კანონმდებლობა შეიძინავთ, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქეობის არმქონე პირის დადგენის მეთოდებს. ამგვარმა კანონმდებლობამ ასევე უნდა განსაზღვროს, თუ ვინ იქნება გადაწყვეტილების მიმღები და ჩამოაყალიბოს პიროვნების მოქალაქეობის არმქონე პირად ცხობის შედეგები.

ზოგიერთმა სახელმწიფომ მიიღო ნორმატიული აქტები, რომელთა თანახმად, მთავრობაში ან შინაგან საქმეთა სამინისტროში დადგინდა სპეციალური სტრუქტურები - სამსახურები, რომლებიც იმუშავებენ უშუალოდ თავმჯერების მაძიებლებთან, ლტოლებულებთან და მოქალაქეობის არმქონე პირებთან. მაგალითად, მათ დავალებათ მოქალაქეობის არმქონე პირთა განაცხადების განხილვა და იურიდიული დასკვნების გამოტანა. სხვა სახელმწიფოები, რომელთაც არ გააჩინათ მოქალაქეობის უქონლობის დამდგენი პროცედურების საკანონმდებლო ბაზა, ქმნიან ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოებს. რომელთა ამოცანაც პირის მოქალაქეობის არქონის ფაქტის დადგენაა. სახელმწიფოთა უმრავლესობას საერთოდ არ გააჩინა რაიმე პროცედურა. ხშირ შემთხვევებში, მოქალაქეობის უქონლობის საკითხი თავს იჩენს ლტოლებითი სტატუსის დადგენის პროცედურის დროს. ასეთ დროს მოქალაქეობის არმქონე პირები შესაძლოა მოექცენონ ჰემბანიტრული და დამატებითი დაცვის პროცედურების ჩარჩინში. ფაქტობრივად, მოქალაქეობის არმქონე პირები იძულებული იქნებიან წარმოადგინონ განცხადება თავშესაფრის მოპოვების თაობაზე მხოლოდ იმის გამო, რომ მათთვის მიუწვდომელია სხვა პროცედურა.

ზოგიერთ ქვეყანას არ გააჩინა მოქალაქეობის არმქონე პირთა დადგენის სპეციალური პროცედურები, მაგრამ შესაძლოა ეს საკითხს ნამოიჭრას მაშინ, როდესაც პირი განაცხადს აკეთებს ბინადრობის ნებართვაზე ან სამგზავრო საბუთებზე, ან თუ უარი ეთქვა თავშესაფრის მინიჭებაზე და სხვა საფუძვლით ითხოვს თავშესაფრის ქვეყანაში დარჩენას.

საფრანგეთში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის ცნობის პროცედურას ხელმძღვანელობს საფრანგეთის ლტოლებითა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დაცვის სამსახური (OFPRA), რომლის მანდატიც მოიცავს მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის იურიდიული და ადმინისტრაციული დაცვის განვითარებას. განაცხადები პრდაპირ საფრანგეთის ლტოლებითა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დაცვის ფრანგულ სამსახურს (OFPRA) ეგზოვნება.

ესპანეთში კანონი უცხოელთა შესახებ უზრუნველყოფს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოქალაქეობის არმქონე პირების სტატუსის აღიარებას იმ პროცედურის საშუალებით, რომელსაც არეგულირებს სამეფო დეკრეტი. განმცხადებლებს შეუძლიათ მასითხოვ პოლიციის განყოფილებებს ან თავშესაფრისა და ლტოლებითა სამსახურს (OAR). საგამოძიებო ფაზის დასრულების შემდეგ თავშესაფრისა და ლტოლებითა სამსახური უძღვება პროცედურას, შემდეგ კი დასაბუთებულ შეფასებას გადასცემს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

იტალიაში 1993 წლის ნორმატიული აქტი, ერთი წლით ადრე მიღებულ მოქალაქეობის კანონში ცვლილებების შეტანით, უფლებამოსილებას ანიჭებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაადგინოს მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი.

იმ კონკრეტული პროცედურების გარეშე, რომელიც მოქალაქეობის არმქონე პირთა იდენტიფიციაციას ემსახურება, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ მოქალაქეობის უქონლობის რამდენი შემთხვევაა ალერიუცხავი და, აქედან გამომდინარე, შეუძლებელია პრობლემის მასტრაბურობის დადგენაც.

რა მტკიცებულება მოითხოვება?

ჩვეულებრივ, განმცხადებლმა უნდა წარმოადგინოს მისი „წარმოშობის ქვეყნის“ საელჩოს ან საკონსულოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია – ანუ მისი დაბადების ქვეყნის ან იმ ქვეყნის, რომელმაც გასცა მოქმედი სამგზავრო საბუთები - რომელიც ადასტურებს, რომ პირი არ არის მოქალაქე. როგორც უკვე აღინიშნა, ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი. თუ სრულყოფილი დოკუმენტაციის მიღების საბუთება არ არის, ზოგიერთმა სახელმწიფომ შეიძლება იქმაროს სხვა სახის მტკიცებულებებიც, მაგალითად, როგორიცაა, მოქალაქეობის შესახებ შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზი ან მოწმეებისა და მესამე პირთა განაცხადები. ინფორმაციის მოძიებისას შესაძლოა საჭირო გახდეს სხვადასახვა დეპარტამენტების და სამინისტროების ერთობლივი ძალისხმეული როგორც მთავრობის შიგნით, ასევე ქვეყნებს შორის.

ამ დროისთვის სახელმწიფოებს შორის არ არსებობს ურთიერთშეთანხმებული მიდგომა მოქალაქეობის არმქონე პირთა დასადგენად. მოქალაქეობის უქონლობის მტკიცებულების დადგენის კრიტერიუმი ყველა სახელმწიფოში განსხვავებული. ერთ სახელმწიფოში მოქალაქეობის არმქონედ ცნობილი პირი შესაძლოა მეორე სახლემოვნო არ აღიაროს ასეთად.

2005 წლს გლუკმ გამოსცა ანგარიში – ევროკავშირის წევრ სახლემწიფოებში 1954 წლის კონვენციის დანერგვის შესახებ. გამოირკვა, რომ ევროკავშირის სახელმწიფოების უმეტესობას ჯერაც არ ჰქონდა შემუშავებული კონკრეტული მექანიზმები მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის დადგენისა და ცნობისათვის; ამის ნაცვლად გამოიყენებოდა თავშესაფრთ უზრუნველყოფის პროცედურები. ამდენად, შეუძლებელია ევროკავშირის ფარგლებში მოქალაქეობის არმქონეთა პრობლემის მასტრაბის დადგენა. ამასთან, მოხსენების შექმნისას გლუკმა ყურადღება გაამახვილა ეროვნულ დონეზე არსებულ საუკეთესო გამოცდილებაზე, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ევროკავშირის ქვეყნებში მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის დადგენისა და ცნობის პროცედურების პარმონიზების მიზნით; ეს გამოცდილება სახელმძღვანელოდ გამოადგებათ ასევე იმ სახელმწიფოებს, რომელთაც უკვე მოახდინეს 1954 წლის კონვენციის რატიფირება.

ვინ წყვეტს პირის მოქალაქეობის არქონის საკითხს?

მოქალაქეობის არმქონეთა სტატუსის დასადგენად საჭიროა ამ სფეროში კვალი-ფიცირებული პერსონალი, რომელსაც შეუძლია ოპერატორულად და ობიექტურად

განიხილოს განაცხადი ზედ დართული მტკიცებულებითურთ. დადგენაზე პასუხისმგებელი ცენტრალური ხელისუფლების ამგარად შეამცირებდა ურთიერთოსანიალმდეგო გადაწყვეტილებების მიღების რისკს, უფრო ეფექტურად მოიძიებდა და შეაგროვებდა წარმოშობის ქვეყნების შესახებ ინფორმაციას და მიზანმიმართული შემსაობით უკეთესად შეძლებდა გამოცდილების გაღრმავებას მოქალაქეობის არქონასთან დაკავშირებულ საქმეებში. მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენა მოითხოვს სხვა ქვეყნების კანონების, დებულებების ცოდნას, უკვე არსებული გამოცდილების შესწავლას და ანალიზს. გადაწყვეტილების მიმღები პირები, საქმეში ცენტრალური ხელისუფლების ჩართვის გარეშეც, თანამშრომლობები როგორც მთავრობის შიგნით, ასევე სხვა სახელმწიფოებში იმ კოლეგებთან, რომელთაც მოქალაქეობის და მოქალაქეობის უქონლობის შესახებ კანონმდებლობის სათანადო ცოდნა გააჩინიათ.

რამდენად ხელმისაწვდომია ეს პროცედურა ცალკეული პირებისთვის?

1954 წლის კონვენცია არ ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ მათ კანონიერი საცხოვრებელი ადგილი მიანიჭონ პირს, სანამ მოქალაქეობის არმქონე პირსდ ცნობს შესახებ მისი მიმართვის განხილვა არ დასრულებულა. თუმცა, რადგანაც პირი იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მისი მოქალაქეობრივი სტატუსის დადგენა შესაძლოა პრობლემის მოგვარების ერთადერთი საშუალება აღმოჩნდეს. თუ პირს დაუდგინდა მოქალაქეობის არქონა და თუ არ არსებობს ყოფილ მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში დაბრუნების შანსი ან თუ არ არსებობს ასეთი ქვეყანა, მაშინ მისი სახელმწიფოში შეშვება და იქ დასაჩრენად ნებისმიერი ტიპის კანონიერი ნებართვის გაცემა, ალბათ, ერთადერთი მართვული გადაწყვეტილება იქნება.

თუ პიროვნებამ შეიტანა განაცხადი მოქალაქეობის არმქონე პირად აღიარების შესახებ ან, თუ ხელისუფლება ცდილობს დაადგინოს პირის მოქალაქეობის არქონის საკითხი, მაშინ პროცესის დამთავრებამდე შესაძლოა საჭირო გახდეს ამ ადამიანის უზრუნველყოფა დროებით საცხოვრებლით. კონვენციაში არაფურია ნითქამი იმის თაობაზე, მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის ცნობის შესახებ განაცხადის განხილვის დასრულებამდე უნდა მიეცეს, თუ არა პირს ქვეყანაში კანონიერი ცხოვრების უფლება. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებით სახელმწიფოთა პრაქტიკა მრავალუროვნია.

შესაბამისი სამართლებრივი პროცედურია პრინციპები მოითხოვს განმცხადებლებისათვის შემდეგი გარანტიების მინიჭებას:

- განაცხადის ინდივიდუალური განხილვა, რომელშიც განმცხადებელსაც შეუძლია მონანილეობის მიღება;
- განაცხადის ობიექტურად განხილვის უფლება;
- პროცედურის ხანგძლივობის შეზღუდვა;
- პროცედურის შესახებ ინფორმაციის განმცხადებლისათვის გასაგებ ენაზე ხელმისაწვდომობა;
- იურიდიული დახმარებითა და თარჯიმის მომსახურებით სარგებლობის უფლება;
- კონფიდენციალურობის და ინფორმაციის დაცვის უფლება;
- გადაწყვეტილებისა და მისი განმაპირობებელი მიზეზების მიღება; და
- მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების გასაჩინებელის შესაძლებლობა.

მოქალაქეობის არმქონეს სტატუსზე ზოგ განმცხადებელს, კერძოდ, მზრუნველობის

გარეშე დარჩენილ ბავშვებს, გააჩნია სპეციალური საჭიროებები, რაც მოითხოვს განსხვავებული პროცედურული დებულებების გამოყენებას. ეს დებულებები შეიძლება ითვალისწინებდნენ მეურვის დანიშვნას, რომელიც წარმოადგენს ან დახმარებას გაუწევს მზრუხველობის გარეშე დარჩენილ ბავშვს ადმინისტრაციული პროცედურის მსვლელობისას.

შეუძლია თუ არა სახელმწიფოს დააკავოს მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელსაც არა აქვს ქვეყანაში კანონიერი დარჩენის უფლება?

ჩვეულებრივ, მოქალაქეობის არმქონე პირი არ უნდა დააკავონ. მოქალაქეობის არმქონე პირებს ხშირად არ გააჩნიათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ. პირადობის მოწმობები ან პასპორტები), რომელებიც მათი ვიზაობის დადგენიში დაგვეხმარებია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადგინდა ყოფილი საცხოვრებელი ქვეყანა, ხშირად იგი უმაღვე არ თანხმდება პირის ხელახლა მიღებაზე. ასეთ მდგომარეობაში უნდა ვერიფიროთ პირის დაკავებას და მხოლოდ იმ შემთხვევაში მივმართოთ ამ ონისიმიერებს, როცა ამას ცალსახად მოითხოვს ეროვნული კანონმდებლობა, რაც, თავის მხრივ, შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს. თავიდან უნდა იქნეს გამოყენებული დაკავების ალტერნატიული ღონისძიება, თუ არ არსებობს საქმარისი მტკიცებულებები საიმისოდ, რომ ალტერნატიული ზომების გამოყენება არ იქნება ეფექტური აღნიშნული პირის მიმართ.

მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთაც არ გააჩნიათ ქვეყანაში კანონიერი ყოფნის უფლება, უნდა დააკავონ მხოლოდ ყველა შესაძლო ალტერნატივის განხილვის შემდეგ. გამონაკლის შემთხვევებში დაკავების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს, დაკავება რამდენად მისალებია და რამდენად შეესაბამება საბოლოო მიზანს. თუ დადგინდა ამის საჭიროება, დაკავებას არ უნდა ჰქონდეს დისკრიმინაციული ხასათი და უნდა განისაზღვროს დროის მინმაღლური პერიოდით. თხოვნით მიმართვის შემთხვევაში, ასეთ საქმეებზე გლუკს შეუძლია რჩევის მიცემა.

სამუშაო ჯგუფი უკანონი დაკავების საკითხები

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია 1985 წლიდან სწავლობს შემაშფოთოებლად გარცელებულ უკანონი დაკავების შემთხვევებს. მან საკითხის საფუძვლიანი შესწავლა და არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად რეკომენდაციების წარდგენა მოსთხოვების დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და უმცირესობათა დაცვის ქვე-კომისიას. დაინტერესება იმ გარანტიებით, რომლითაც უნდა სარგებლობდეს ყველა თავისუფლებაშეზღუდული პირი, გამოვლინდა 1988 წელს, როდესაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიღიღ პრინციპთა კრებული ყველა პირის დასაცავად წებილიერ ფორმის დაკავების ან დაპატიმრებისას. 1990 წელს ქვე-კომისიის მიერ შემთხვენებული მოსხენებით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულებისას ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ შექმნა სამუშაო ჯგუფი უკანონ დაკავების საკითხებზე. მოგვიანებით სამუშაო ჯგუფმა მიიღო შემდეგი პრინციპები, რომლებიც არეგულირებენ დაპატიმრებასა და დაკავებას:

პრინციპი 1

თავშესაფრის მაძიებელს ან მიგრანტს, რომელსაც საზღვარზე ან ქვეყანაში უკანონოდ შესვლის შემთხვევაში ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს შეგნით დასაკითხად აკავებენ, სულ მცირე, ზეპირი ფორმით, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს იმ მიზანების შესახებ, თუ რატომ და რის საფუძელზე ეუპნებიან უარს საზღვრის გადაკვეთაზე ან ქვეყანაში დროებით ცხოვრების უფლებაზე. ყოველივე ეს პიროვნებისადმი პატივისცემის გამოხატვით უნდა განხორციელდეს.

პრინციპი 2

ნებისმიერ თავშესაფრის მაძიებელს ან მიგრანტს დაკავების პერიოდში უნდა ჰქონდეს, გარესამყაროსთან ურთიერთობის შესაძლებლობა, მათ შორის ტელეფონით, ფაქსით ან ელექტრონული ფოსტით. უნდა მიეცეს ადვოკატთან, საკონსულოს ნარმომადგენელთან და ნათესავებთან დაკავშირების უფლება.

პრინციპი 3

ნებისმიერი დაპატიმრებული თავშესაფრის მაძიებელი ან მიგრანტი დაუყოვნებლივ უნდა ნარდგეს სასამართლო ან სხვა ხელისუფლების ორგანოს წინაშე.

პრინციპი 4

ნებისმიერი თავშესაფრის მაძიებელი ან მიგრანტი, დაპატიმრებისას ხელს უნდა ანერდეს რესესტრში, რომელიც უნდა იყოს დანომრებილი და აკინძული ან შეიცავდეს იდენტიფიციირების სხვაგვარ გარანტიების; ასევე მასში უნდა აღინიშნოდეს ინფორმაცია დაკავების საფუძვლებსა და ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს იმ გარარგულების თაობაზე, რომლის საფუძველზეც მოხდა პირის დაკავება, ასევე დაკავებისა და გათავისუფლების დრო და თარიღი.

პრინციპი 5

ნებისმიერ თავშესაფრის მაძიებელს ან იმიგრანტს საპყრობილები მოთავსებამდე უნდა მიეწოდოს ინფორმაცია შინაგანნენისის, შესაბამისი დისციპლინარული წესების და იზოლირებულ პატიმრობაში შესაძლო მოხვედრის შესახებ; ასევე იმ გარანტიების შესახებ, რაც თან სდევს ამგვარ ზომებს.

პრინციპი 6

გადაწყვეტილება უნდა მიიღოს შესაბამისი უფლებამოსილების და სათანადო დონის პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფო ორგანომ და უნდა ეფუძნებოდეს კანონის მიერ დადგენილ სამართლანობის კრიტერიუმებს.

პრინციპი 7

პატიმრობის ვადის ზედა ზღვარი დადგენილი უნდა იყოს კანონით; დაუშვებელია, პატიმრობის ვადა იყოს შეუზღუდავი ან უზომოდ ხანგრძლივი.

პრინციპი 8

თავშესაფრის მაძიებლს ან მიგრანტს თავისუფლების აღკვეთის ზომების შესახებ უწევება მისთვის გასაგებ ენაზე წერილობითი ფორმით ეძღვევა. დოკუმენტი უნდა ასახავეს მიღებული ზომების საფუძვლის; პირობებს, რომელთა თანახმადაც თავშესაფრის მაძიებელს ან მიგრანტს შესაძლებლობა აქვს მიმართოს სასამართლო ხელისუფლებას; იგი დროულად გადაწყვეტს მიღებული ზომის კანონიერების საკითხს და თუკი საჭიროდ ჩათვლის, გასცემს ბრძანებას პირის გათავისუფლების თაობაზე.

პრინციპი 9

პატიმრობის ვადის მოხდა ხორციელდება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ სახელმწიფი დაწესებულებაში; თუკი ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, თავშესაფრის მაძიებელი ან მიგრანტი უნდა მოთავსდეს სისხლის სამართლებრივი დანაშაულისათვის ბრალდებული პირებისგან განცალკევებით.

პრინციპი 10

საპატიმროში შესვლის უფლება უნდა მიეცეთ ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისს (გლუვა), ჩითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს (ICRC) და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

რა უფლება-მოვალეობები გააჩნიათ მოქალაქეობის არმქონედ ცნობილ პირებს?

ადამიანის უფლებებში არის რამდენიმე ფუნდამენტური უფლება, რომლებიც ვრცელდება ყველა პირზე, მიუხედვად მათი სტატუსისა თუ კონკრეტულ იურის-დეკიაში ყოფნის სახისა. მაგალითად, წამების და დისკრიმინაციის აკრძალვა. რა თქმა უნდა, 1954 წლის კონვენცია ადასტურებს, რომ მისი დებულებები ვრცელდება მოქალაქეობის არმქონე პირებზე „რსის, რელიგიისა თუ წარმოშობის ქვეყნის ნიშნით დასკრიმინაციის გარეშე.“ (მუხლი 3).

მოქალაქეობის არმქონე ყველა პირი ვალდებულია დაემორჩილოს ადგილსამყოფელი ქეყნის კანონებს და წესებს (მუხლი 2). ამ ვალდებულების გათვალისწინებით, კონვენციის მე-7(1) მუხლი ადგენს დაცვის საწყის დონეს, რომელიც ენიჭება მოქალაქეობის არმქონე პირს. კერძოდ, მიუთითებს, რომ გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კონვენცია პირდაპირ შეიცავს უფრო შეღავათიან დამოკიდებულებას, „წევრი სახელმწიფო მოქალაქეობის არმქონე პირს ისევე ექცევა, როგორც ნებისმიერ უცხოელს ზოგადად“.

რაც შეეხება 1954 წლის კონვენციაში ჩამოთვლილ უფლებათა უმეტესობას, მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის უკიდურეს შემთხვევაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველაფერი ის, რაც გარანტირებულია უცხოელებისთვის; კერძოდ, იგულისხმება სამუშაოზე დაქირავება (მუხლები 17, 18 და 19), საჯარო განათლება (მუხლი 22), დაბინავება (მუხლი 21) და გადაადგილების თავისუფლება (მუხლი 26). სხვა კონვენციული უფლებებისთვის წევრი სახელმწიფოები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს ისეთივე სტანდარტულ გარემოს უქმნიან, როგორც საკუთარ მოქალაქეებს; კონკრეტულად, ანიჭებს რელიგიური აღზრდის თავისუფლების (მუხლი 4), საავტორო უფლებების და სამრეწველო საკუთრების (მუხლი 14), სასამართლოსადმი მმართვის უფლების (მუხლი 16), სახელმწიფო შემწეობის (მუხლი 23), შრომის კანონმდებლობის და სოციალური უზრუნველყოფის (მუხლი 24) შესაძლებლობას.

მოქალაქეობის არმქონედ ცნობილ პირებს შეუძლიათ თუ არა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის და სამგზავრო საბუთების მიღება ?

კონვენციის თანახმად, წევრმა სახელმწიფომ უნდა გასცეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობები მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ნებისმიერ მოქალაქეობის არმქონე პირზე, ვისაც არ გააჩნია მოქმედი სამგზავრო საბუთები. 28-ე მუხლი ადგენს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გასცენ სამგზავრო საბუთები მათ ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, თუ ეს არ ენინააღმდეგება ეროვნული უსაფრთხოების და საჯარო წესრიგის ინტერესებს.

საბუთის გაცემა არ გვლისხმობს მოქალაქეობის მინიჭებას, არ ცვლის პირის სტატუსს და არ აძლევს მას დიპლომატიური დაცვით სარგებლობის უფლებას.

28-ე მუხლის მეორე ნაწილი მოუწოდებს სახელმწიფოებს გასცენ სამგზავრო საბუთები მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ნებისმიერ მოქალაქეობის არმქონე პირზე იმ შემთხვევაშიც კა, თუ იგი უკანონოდ იმყოფება ქვეყანაში. სახელმწიფოებს ეთხოვათ განეხილათ კონვენციით გათვალისწინებული სამგზავრო დოკუმენტების გაცემა იმ მოქალაქეობის არმქონე პირთათვის, ვინც მათ ტერიტორიაზე იმყოფება და არ შეუძლიათ ამ საბუთების თავიანთი კანონიერი საცხოვრებელი ქვეყნისგან. ეს დებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მოქალაქეობის არმქონე

მრავალ პირს შესაძლოა არ გააჩნდეს კანონიერი საცხოვრებელი ქვეყანა. სამგზავრო დოკუმენტები ახდენს პირს იდენტიფიცირებასაც და ამასთანავე აძლევს მას სხვა სახელმწიფოში შესვლის შესაძლებლობას.

სამგზავრო საბუთები განსაკუთრებით მნიშვნელოვან დახმარებას უწევს სხვა ქვეყნებში სასწავლო, სამუშაო, ჯამშრთელობის გაუმჯობესების თუ გადასახლების მიზნით მოგზაურ მოქალაქეობის არმქონე პირებს. კონვენციის დანართის თანახმად, სახელმწიფოები შეთანხმდებნენ ცნონ სხვა წევრი სახელმწიფოების მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტების ქმედუნარიანობა. ამგვარი საბუთების შესაქმნელად გლუქ შეუძლია შესთავაზოს ტექნიკური რჩევები.

შეუძლია თუ არა სახელმწიფოს მოქალაქეობის არმქონედ ცნობილი პირის ქვეყნიდან გაძევება?

კონვენციის პირობების თანახმად, დაუშვებელია ქვეყანაში კანონიერად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის გაძევება, თუმცა ამას ეროვნული უსაფრთხოების და საჯარო ნესრიგის ინტერესების დაცვა არ მოითხოვს. საფუძლიანი მიზეზების არსებობის შემთხვევებში, გაძევება ხდება "შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების" დაცვით. აქედან გამომდინარე, ცხადია, „უნდა არსებობდეს პროცედურული გარანტიები, რაც უფლებას მისცემს მოქალაქეობის არმქონე პირს, წარადგინოს მტკიცებულებები და უარყოს ნებისმიერი ბრალდება, ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით და დაიტოვოს განაჩენის გასაჩივრების უფლება.

კონვენციის საბოლოო აქტი მიანიშნებს, რომ გაძევების ან იძულებით დაპრუნების აკრძალვა (Non-Refoulement) საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია. არგაძევების პრინციპი (პირი არ დააპრუნონ იმ ტერიტორიაზე, სადაც მას დევნის საფრთხე ემუქრება) ასახულია მრავლი საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებებში, მათ შორისა ლტოლვილთა სტატუსის შესახებ გარის 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლი, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ლირსების შემლასვი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის მე-3 მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთოშორისო პაქტის მე-7 მუხლი და ადამიანის უფლებათა რამდენიმე რეგონიული დოკუმენტი.

მას შემდეგ, რაც გაძევების აერძალვა საერთაშორისო სამართლის პრინციპად იქნა მიღებული, კონვენციის ავტორებმა საჭიროდ აღარ ჩათვალეს მისი ხაზგასმა იმ მუხლებში, რომელიც არეგულირებს დეისურ მოქალაქეობის არმქონე პირების სტატუსს.

ქვეყნიდან გაძევების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კონვენცია სთხოვს სახელმწიფოებს, რომ პირს მიეცეს საკმარისი დრო სხვა ქვეყანაში შესვლის უფლების მოსაპოვებლად.

ნატურალიზაციის რა ტიპის პროცედურაა ხელმისაწვდომი მოქალაქეობის არმქონედ ცნობილი პირებისთვის?

კონვენციის წევრი სახელმწიფოებს დაევალათ ხელი შეუწყონ მოქალაქეობის არმქონე პირთა ასიმილაციისა და ნატურალიზაციის პროცესს (სიტყვა „ასიმილაცია“ აქ გულისხმობს არა კონკრეტული პირის იდენტურობის დაკარგვას, არამედ მის ინტეგრაციას ევენის კონცენტრაციულ, სოციალურ და კულტურულ სივრცეში). კერძოდ, სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, ყველა ღონე იხმარონ, რათა დააჩქარონ ნატურალიზაციის პროცესები, მათ შორის გადასახადებისა და ხარჯების შეძლებისდაგვარად შემცირებაც.

ტიმორ-ლესტეს ინდონეზიისგან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ინდონეზიაში მცხოვრები ყველა აღმოსავლეთ ტიმორელი არჩევანის წინაშე დადგა: მათ ან ინდონეზიის მოქალაქეობა უნდა შეენარჩუნებინათ, ან ტიმორ-ლესტეს მოქალაქეობა მიეღოთ. ამ შემთხვევაში ისინი შეძლებდნენ ინდონეზიაში დარჩენას როგორც უცხოელები, მოქმედი ბინადრობის ნებართვით.

ზოგიერთმა ქვეყანამ მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობაში გაითვალისწინა ლტოლვილების და მოქალაქეობის არმქონეთა ნატურალიზაციისთვის ქვეყანაში კანონიერ საფუძველზე ყოფნის შემცირებული ვადები.

მოქალაქეობის შესახებ 1997 წლის ევროპული კონვენცია (ECN) კიდევ უფრო ავითარებს ამ რეკომენდაციას და მოითხოვს, რომ შიდა კანონმდებლობა შეიცავდეს წესებს, რომელიც სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად და მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს ნატურალიზაციის პროცესის გავლის შესაძლებლობას მისცემს. მოქალაქეობის შესახებ ევროპული კონვენცია დამატებით ზღუდვს იმ მოთხოვნას, რომელიც ნატურალიზაციაზე განაცხადის შესატანად ქვეყანასი 10-ზე მეტი წლის ცხოვრებას საჭიროებს. კონვენცია ასევე მოუწოდებს სახელმწიფოებს, განიხილონ ნატურალიზაციის სწრაფი პროცედურების გამოყენების შესაძლებლობა მოქალაქეობის არმქონე და ლტოლვილად აღიარებული პირებისთვის.

რითი არის მნიშვნელოვანი კონვენციის საბოლოო აქტი?

საბოლოო აქტის რეკომენდაციით, ყოველი წევრი სახელმწიფო, თუკი აღიარებს იმ მიზეზების დასაშვებობას, რომელთა გამოც პირმა უარი განაცხადა თავისი მოქალაქეობის ქვეყნის დაცვაზე, გაგებით მოეკიდება ამ პირის მიმართ იგივე მიღომის შემუშავების შესაძლებლობას, რაც კონვენციით მოქალაქეობის არმქონე პირითა მიმართ არის დადგენილი. აღნიშნული რეკომენდაცია მიღეს იმ დე ფაქტო მოქალაქეობის არმქონე პირთა ინტერესების გათვალისწინებით, რომელთაც ფორმალურად ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვთ მოქალაქეობა, მაგრამ ვერ სარგებლობენ ამით, განსაკუთრებით კი თავისი სახელმწიფოს დაცვით.

რომელია მოქალაქეობის არმქონე პირთა დაცვის საუკეთესო საშუალება?

მოქალაქეობის არმქონე პირთა დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალება ისეთი კანონმდებლობის შექმნაა, რომელიც უპირველს ყოვლისა, გამორიცხავს მოქალაქეობის უქონლობის ნარმოშობას (სრულყოფილი განხილვისთვის იხილეთ მოქალაქეობის არმქონეთა რიცხვის შემცირების შესახებ 1961 წლის კონვენციის მესამე თავი და ის ზომები, რომელთა მიღება შეუძლიათ სახელმწიფოებს მოქალაქეობის უქონლობის შემთხვევების შესამცირებლად ან მთლიანად აღმოსაფხვრელად).

მოქალაქეობის უქონლობის პრობლემის საბოლოოდ აღმოფხვრამდე მოქალაქეობის არმქონე აღიარებულ ადამიანებს ესაჭიროებათ დაცვა. მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის შესახებ 1954 წლის კონვენციასთან მიერთება, მისი განხორციელება და განახლებული კანონმდებლობის მიღება მოგვცემს საფუძველს ვიფიქროთ, რომ მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები და მოვალეობები დაცული იქნება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1954 წლის კონვენცია არც პირის მოქალაქეობას ცვლის და არც სახელმწიფოებს ავალდებულებს, საკუთარ ტერიტორიაზე შეუშვნონ არა -ლტოლვილი მოქალაქეობის არმქონე პირები. 1954 წლის კონვენციის დებულებების გამოყენების ვერ გადაწყდება მოქალაქეობის მინიჭების საჭიროების საკითხით. რამდენადაც ეს შესაძლებელია, სახელმწიფოებმა მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის მეშვეობით

ასამილიაციისა და ნატურალიზაციის პროცესში ხელი უნდა შეუწყონ. ამას ადგილობრივი ინტეგრაციას უწოდებენ.

2005 წელს ყირგიზეთის და თურქეთის მთავრობებმა მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღების უფლება მიანიჭეს ტაჯიკური წარმოშობის მოქალაქეობის არმქონე უამრავ ლტოლვილს, რათა მათ თავშესაფრის ქვეყანაში ახალი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობა მისცემიდა.

ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში შეუძლებელია მოქალაქეობის არმქონე პირების ოურიდიული სტატუსის რეგულირება იმ ქვეყანაში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ამდენად, ამ პირების სხვა ქვეყანაში გადასახლება მართებული გადაწყვეტილება. როცა გადასახლების კრიტერიუმები არ ვრცელდება მოქალაქეობის უქონლობის შემთხვევებზე (გადასახლება ჩვეულებრივ ლტოლვილებისთვის გამოიყენება), **გლუკის** აღმასრულებელი კომიტეტის ბოლო დროს შემუშავებული რეკომენდაციით, სახელმწიფოებმა უნდა გააფართოვონ არსებული კრიტერიუმები და გაავრცელონ ისინი მოქალაქეობის არმქონე პირებზეც.

№ 95 (2003) დასკვნაში აღმასრულებელმა კომიტეტმა

„მოუწოდა სახელმწიფოებს, ითანამშრომლონ გლუკოთან მოქალაქეობის უქონლობის პრობლემების მოგვარების მეთოდებთან დაკავშირებით და ერთად იმსჯელონ შესაძლო გადასახლების ადგილებზე, როდესაც მოქალაქეობის არმქონე პირის პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია მასპინძელ ქვეყანაში ან ყოფილ საცხოვრებელ ქვეყანაში და გაურკვეველი რჩება...“

გლუკის შეუძლია კონსულტაცია გაუწიოს და დაეხმაროს სახელმწიფოებს მოქალაქეობის არმქონე პირების ინტეგრაციის და გადასახლების საკითხების მოგვარებაში.

თავი 3

მოქალაქეობის არქონის მიზანების აღმოფხვდა

მოქალაქეობის არქონა შესაძლოა მრავალმა მიზეზმა გამოიწვიოს. ქვემოთ განხილულია მოქალაქეობის არქონის რამდენიმე ძირითადი მიზეზი და ის პრატიკული ლონისძიებები, რომელიც მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობის განხილვისას უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფოებმა, ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად.

ტექნიკური მიზანები

კანონთა შეუსაბამობა

პრობლემები შესაძლოა მაშინ წამოიჭრას, როდესაც ერთი სახელმწიფოს მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობა წინააღმდეგობაში მოდის მეორე სახელმწიფოს კანონებთან, რის შედეგადაც პირი ორივე სახელმწიფოს მოქალაქეობის გარეშე რჩება. ორივე კანონმდებლობა შესაძლოა სათანადოდ იყოს შედგენილი, მაგრამ პრიტლემი მათი ერთდროული გამოყენებისას გაჩნდება. მაგალითად, სახელმწიფო A, სადაც დაიბადა პირი მოქალაქეობას მხოლოდ წარმოშობის მიხედვით ანიჭებს (*jus sanguinis*), მაგრამ ამ პირის მშობლები B სახელმწიფოს მოქალაქეობი არიან. მეორე მხრივ, სახელმწიფო B მოქალაქეობას დაბადების ადგილის მიხედვით ანიჭებს (*jus soli*), მაგრამ პირი სახელმწიფო A-ში დაიბადა. ამდენად, პირი მოქალაქეობის არქეონედ იქცევა.

ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად:

- როგორც 1930 წლის ჰავაგის კონვენციაშია მოცემული, ყოველი სახელმწიფო საკუთარი კანონმდებლობის მიხედვით წყვეტს, თუ ვინ არის მისი მოქალაქე. სხვა სახელმწიფოების მიერ აღიარებული ეს კანონი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო კონვენციებს, საერთაშორისო ტრადიციებსა და სამართლის იმ აღიარებულ პრინციპებს, რაც მოქალაქეობის საკითხებს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოები უნდა ფლობდნენ მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობის განახლებულ პაკეტს და დაწერონ ის პრატიკაში მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობებს შორის კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით.
- მოქალაქეობის არმქონეთა რიცხვის შემცირების შესახებ 1961 წლის კონვენცია აცხადებს, რომ მოქალაქეობა უნდა მიენიჭოს:
 - კანონის მოქმედებით, ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაბადებულ პირს დაბადებისთანავე;
 - კანონის მოქმედებით დადგენილ ასაკში ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაბადებულ პირს, ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;
 - ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაბადებული პირის მიერ განაცხადის წარდგენის შემთხვევაში (განაცხადის შეტანა შესაძლებელია, თუ არსებობს ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი ან ერთზე მეტი პირი პირობა: დაცულია განაცხადის წარდგენისათვის დადგენილი ვადები, დაკამაყოფილებულია მოთხოვნები საცხოვრებელი ადგილის მიმართ, კანონით გათვალისწინებულ გარკვეულ სისხლის სამართლის დანაშაულებზე ნასამართლობის უქინებულება და/ან მტკიცებულება

- იმის თაობაზე, რომ პირი ყოველთვის იყო მოქალაქეობის არმქონე);
- დაბადებისთანავე კანონიერ შეილს, რომლის დედასაც აქვს იმ სახელმწიფოს მოქალაქეობა, სადაც დაიბადა ბავშვი;
 - მემკვიდრეობით, პირს, რომელიც ვერ მიიღებს იმ წევრ სახელმწიფოს მოქალაქეობას, რომლის ტერიტორიაზეც ის დაიბადა, ასაკის ან საცხოვრებელი ადგილის მიმართ წამოყენებული მოთხოვნების გამო (განაცხადის შეტანა შესაძლებელია, თუ არსებობს ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი ან ერთზე მეტი პირობა: დაცულია განაცხადის წარდგენისათვის დადგენილი ვადები, დაკამაყოფილებულია მოთხოვნები საცხოვრებელი ადგილის მიმართ და/ან მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ პირი ყოველთვის იყო მოქალაქეობის არმქონე);
 - წევრ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნაპოვნ ბავშვებს;
 - მოქმედი კანონის თანახმად, პირის დაბადებისთანავე (დაბადების ადგილის მიუხედავად), თუ ერთ-ერთ მშობელი წევრი სახელმწიფოს მოქალაქე იყო ბავშვის დაბადების მოქმედში;
 - ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, იმ პირის მიერ განაცხადის წარდგენის შემთხვევაში, რომელიც თუმცა არ არის დაბადებული მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მაგრამ დაბადების დროისათვის მისი ერთ-ერთი მშობელი წევრი სახელმწიფოს მოქალაქე იყო (განაცხადის შეტანა შესაძლებელია, თუ არსებობს ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი ან ერთზე მეტი პირობა: დაცულია განაცხადის წარდგენისათვის დადგენილი ვადები, დაკამაყოფილებულია მოთხოვნები საცხოვრებელი ადგილის მიმართ, ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე ნასამართლობის უქონლობა და/ან მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ პირი ყოველთვის იყო მოქალაქეობის არმქონე).
 - სახელმწიფოთა უმტკიცესობა *jus soli* და *jus sanguinis* პრინციპებს აერთიანებს მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობაში, რათა განსაზღვროს მოქალაქეთა ძირითადი ჯგუფი სახელმწიფოში და როგორ ხდება დაბადებისთანავე მოქალაქეობის მიზნები. სახელმწიფოებმა, რომელთათვისაც მიუღებელია ორმაგი მოქალაქეობა, უნდა უზრუნველყონ, რომ გარკვეულ ასაკს მიღწეულმა პირმა ან მისმა მშობლებმა გააკეთონ არჩევანი.

მოქალაქეობაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ კანონთა შეუსაბამობა

ზოგიერთი სახელმწიფოს კანონმდებლობა მოქალაქეობის შესახებ უფლებას აძლევს პირებს, უარი განაცხადონ მოქალაქეობაზე სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღებამდე ან ამის გარნტიის შექმნამდე. ამას ხშირად მოქალაქეობის არქინამდე მიყვავართ. ამ საკითხთან დაკავშირებით კანონთა შეუსაბამობა შესაძლოა მაშინ წარმოშვას, როდესაც ერთი სახელმწიფო პირს მოქალაქეობაზე უარის თქმის უფლებას არ აძლევს საქმეში ჩართული მეორე სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღებამდე, ეს უკანასკნელი კი მოქალაქეობას არ აძლევს პირს პირველის მოქალაქეობის უარყოფამდე. ზოგჯერ შესაძლოა პირს მოსთხოვონ მიღებულ მოქალაქეობაზე უარის თქმა, რათა შეძლოს მისი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეობაზე შეიტანოს განაცხადი; ამის გამო ახალი მოქალაქეობის მიღებამდე პირი მოქალაქეობის არმქონე ხდება.

ამ პროცედურის თავიდან ასაცილებლად:

- 1961 წლის კონვენციის თანახმად, მოქალაქეობის დაკარგვის ან მასზე უარის თქმის წინაპირობა უნდა იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღება ან მისი მიღების

გარანტია. გამონაცლისის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ნატურალიზებული პირის შემთხვევაში, რომელიც მიუხედავად ფორმალის და დროის შეზღუდვის შეტყობინებისა, გარკვეული წლების მანძლზე საზღვარგარეთ ცხოვრობს და მოქალაქეობის შენარჩუნების სურვილის შესახებ შეტყობინებას ვერ ახერხებს. ასეთ შემთხვევაში ნატურალიზებული პირი გახლავთ ის, ვინც მოქალაქეობა წევრ სახელმწიფოსადმი წარდგენილი განაცხადის საფუძველზე მიიღო და ამ უკანასკნელს შეეძლო უარი ეთევა განაცხადის დაკამაყნოვილებაზე. მოქალაქეობის დაკარგვა შესაძლოა მოხდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და თან ახლდეს სრული პროცესუალური გარანტიები, როგორიცაა სასამართლოს ან სხვა დამოუკიდებელი ორგანოს მიერ საქმის სამართლიან განხილვის უფლება.

- მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ არც ერთმა პირმა არ განაცხადოს უარი მოქალაქეობაზე სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღების ან შესაბამისი ორგანოების მხრიდან მოქალაქეობის მინიჭების ოფიციალური და წერილობითი გარანტიების მიღებამდე.
- ზოგიერთი სახელმწიფომ შემოიღო დებულებები, რომლებიც მოქალაქეობის ხელმორედ მიღების ნებას იძლევიან იმ შემთხვევაში, თუ პირი კარგავს ან არ ღებულობს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას.
- იმ სახელმწიფოებში, სადაც აკრძალული ორმაგი მოქალაქეობა ან მრავალმოქალაქეობა, კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ არ არსებობდეს მოქალაქეობაზე უარის თქმის ან მისი დაკარგვის მოთხოვნა, როგორც მოქალაქეობის მიღების ან შენარჩუნების წინაპირობა, როდესაც მოქალაქეობაზე უარის თქმა ან მისი დაკარგვა შეუძლებელია. მაგალითად, ლტოლვილებისგან არ უნდა მოითხოვონ ნარმოშობის ქვეყნაში დაბრუნება ან ამ ქვეყნის ხელისუფლებასთან დაკავშირება მოქალაქეობაზე უარის თქმის მიზნით.

ნარმატებული გამოცდილება: უკრაინა

1944 წელს ფაშისტურ შეირაღებულ ძალებთან თანამშრომლობის ბრალდებით 200,000-ზე მეტი თათარი გადასახლეს ყირიმიდნ საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკების სხვადასხვა რეგიონში. უმეტესობა უზბეკეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში მოხვდა. ორი ათწლეულის შემდეგ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მდივანმა გამოაცხადა, რომ ყირიმელი თათრების წინააღმდეგ ნამოყენებული ბრალდებები უსაფუძლო იყო და მათ შეეძლოთ ეცხოვოთ საბჭოთა კავშირის ნებისმიერ ტერიტორიაზე, ყირიმის ნახევარუნდებულის ჩათვლით.

თუმცა ის თათრება, რომელთაც ყირიმში დაბრუნება გადაწყვიტეს, პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ რეგისტრციის, დასაქმების, მინისა და განსახლების საკითხებთან დაკავშირებით. 1987 წელს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელიც კრძალავდა ყირიმელ თათრების რეპატრიაციას ნახევარუნდებულის შიდა რვა რაიონში, რათა თავიდან აეცილებინათ მათი დაბრუნება უწინდელ საცხოვრებელ ადგილებზე, გაცილებით ნაყოფიერ და განვითარებულ სამხრეთ სანაპიროზე. ორი წლის შემდეგ, რაც უმაღლესა საბჭომ „არაკანონიერად და დაბაშულებრივად“ გამოაცხადა „ძირულებით დეპორტირებული ადამიანებისათვის“ უფლებების ჩამორთმევა, ყირიმში მასიური დაბრუნება დაიწყო.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მოულოდნელად ნარმოიშვა პოლიტიკური და სამართლებრივი პრობლემები სახელმწიფოს სამართლომემკვიდრეობის, ტერიტორიული საზღვრების გადანაწილების და მოქალაქეობის თაობაზე.

უკრაინა, რომლის შემადგენლობაშიც დღეისათვის ყირიმიც შედის, ყოფილი უკრაინის სოციალისტური რესპუბლიკის მექანიზრე გახდა. ქვეყნის მოქალაქეობის შესახებ პირველი კანონის (1991 წელი) თანხმად, პირები, ვინც ყოფილი საბჭოთა კავშირის

მოქალაქები იყვნენ და მუდმივად ცხოვრობდნენ უკრაინის ტერიტორიაზე ყირიმის ჩათვლით, 1991 წლის 24 აგვისტოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ავტომატურად (ex lege) გახდნენ უკრაინის მოქალაქები განურჩევლად წარმომობისა, სოციალური სტატუსისა, რასისა, მოქალაქეობისა, სექსისა, განათლებისა, მშობლიური ენისა, პოლიტიკური შეხედულებისა თუ რელიგიისა. ავტომატურად უკრაინის მოქალაქეობის მიღება ამ პირებს არ შეეძლოთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სხვა ქვეყნის მოქალაქები იყვნენ ან არ ჰქონდათ სურვილ მიელოთ უკრაინის მოქალაქეობა. იმ პირებმა, რომელთაც რეგისტრირებული ჰქონდათ კანონიერი საცხოვრებელი ადგილი უკრაინაში დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და მოქალაქეობის შესახებ კანონის ძალაში შესვლიდან სამი თვის შემდეგ, ავტომატურად მიიღეს უკრაინის მოქალაქეობა. ამ დებულების საფუძველზე 150,000 ყირიმელმა თათარმა უკრაინის მოქალაქეობა მიიღო.

ჩატარებული გამოკვლევების თანახმად, 108,000 ყირიმელი თათარი, რომლებიც უკრაინაში მოქალაქეობის შესახებ კანონის 1991 წლის ნოემბერში ძალაში შესვლის შემდეგ დაბრუნდნენ, მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით ახალი პრობლემის წინაშე დადგნენ. 28,000 ადამიანი, რომლებმაც სხვა ქვეყნებში თავისი მუდმივი ცხოვრების უფლება გააუქმეს ამ ქვეყნების მოქალაქეობის შესახებ კანონის ძალაში შესვლამდე, დე ოურე მოქალაქეობის არმქონედ იქცნენ. კიდევ 80,000 ადამიანი, რომლებმაც ყოფილ საცხოვრებელ ქეყყანაში რეგისტრაცია შეინარჩუნეს იმ დროისთვის, როცა ძალაში შევიდა კანონი მოქალაქეობის შესახებ, ამ სახელმწიფოს დე ოურე მოქალაქედ იქცნენ. შედეგად, მათ აგრძელებულად არ მიენიჭთ უკრაინის მოქალაქეობა. მიუხედვებად იმისა, რომ მათ შესთავაზეს უკრაინის მოქალაქეობის მიღება ინდივიდუალურ პროცედურის გავლით, უკან დაბრუნებულთა უმრავლესობა, ვინც იმედოვნებდა უკრაინის მოქალაქეობის მიღებას, ვერ აკმაყოფილებდა პროცედურის მკაცრ მოთხოვნებს, რომელიც მოიცავდა უკრაინაში ხუთწლიან ცხოვრებას, საკმარისი შემოსავლის არსებობას და უკრაინული ენის ცოდნას.

გლუკმა, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო) და ევროსაბჭომ პრობლემების მოსაგვარებლად უკრაინის მათვრობას მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობის შეცვლისაკენ მოუწოდეს. **გლუკმა** უკრაინის საპაპორტო და ნაცურალიზაციის სამსახურის სანეროთხელი და ტექნიკური დახმარება შესთავაზა და მოქალაქეობის თემაზე მედია-კამპანია მოაწყო. გლუკის ხელმძღვანელობით ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უკრაინის მოქალაქეობის მსურველებს იურიდიული კონსულტაციები გაუწიეს და უკრაინის სახელმწიფო ორგანოებთან სამართლებრივ ურთიერთობებში მათი წარმომაადგენლობა იყისრეს.

მოქალაქეობის უქონლობის შემთხვევების შემცირების და საბოლოოდ თავიდან აცილების მიზნით უკრაინის მთავრობამ, **გლუკმა** კონსულტაციების შედეგად, მოქალაქეობის შესახებ ქვეყნის კანონმდებლობის არსებობის ათი წლის მანძილზე მასში შეიცვერ შეიტანა ცვლილება. 1997 წლის მაისში გაუქმდა განმცხადებლებისგან ენის ცოდნის და შემოსავლის ქონის მოთხოვნა, ხოლო ყოფილი დეპორტირებული პირების შთამომავლობას მათი წინაპრების ყირმული წარმომობის საფუძველზე უკრაინის მოქალაქეობის მიღების უფლება მიეცათ. ამ დადებითმა ცვლილებებმა ქვეყანაში დე ოურე მოქალაქეობას არმქონე 28,000 დაბრუნებული პირისთვის უკრაინის მოქალაქეობის მიღება შესაძლებელი გახადა.

სანამ აღნიშნული ცვლილებები მოქალაქეობის არმქონე პირთა პრობლემების მოგვარების მიზნით გრძელ გზას გადიოდა, უკრაინის მოქალაქეობის მისაღებად სხვა სირთულეები, მათ შორის ქვეყნის კონსტიტუციური აკრძალვა ორბეგ მოქალაქეობაზე, კვლავაც გადასალაპი დარჩა. მაგალითად, პირებს, რომლებსაც ყირიმში დაბრუნებამდე უზბექებთის დე ოურე მოქალაქეობა ჰქონდათ, უკრაინის მოქალაქეობის მისაღებად ოფიციალურ უარი უნდა ეთქვათ უზბექებთის მოქალაქეობაზე. თუმცა უზბექებთის მოქალაქეობაზე უარისთვის საჭირო იყო 100 აშშ დოლარის გადახდა, კიევში უზბექებთის საელჩოში მისვლა და ადმინისტრაციული პროცედურა, რომელიც ხშირად ერთ წელზე მეტხასს გრძელდებოდა.

გლუკი და ეფთო ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებებს შეამავლობდა, რაც ორმხრივი შეთანხმებით დასრულდა. შეთანხმება დაიღი 1998 წელს, იგი მოქალაქეობის შეცვლის პროცედურებს ამარტივებდა. უზბეკეთი დათანხმდა, გაერქმებინა მოქალაქეობაზე ურისითვის დანქსებული გადასასადი და უფლება მისცა უკრაინის შენაგონ საქმეთა სამინისტროს საპასპორტო განყოფილებებს, შეეგროვებინათ მოქალაქეობაზე უარის განაცხადები და გადაეცათ ისინი უზბეკეთის ხელისუფლებისთვის. **გლუკი** მიერ წამოჭრილი პროცედურების საპასპორტო მიიღეს ისეთი ადმინისტრაციული პროცედურა, როდესაც უკრაინის მოქალაქეობის მინიჭება და უზბეკეთის მოქალაქეობაზე უარი ერთანერთთან შეთანხმებული დადება, რაც მოქალაქეობის არმქონებ გახდომის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. სამი წლის განმავლობაში, ვიდრე ეს ორმხრივი შეთანხმება მოქმედებდა, უზბეკეთიდან 80 000-მდე დაბრუნებულს უკრაინის მოქალაქეობა მიენიჭა. მოგვიანებით ანალოგური ორმხრივი შეთანხმებები უკრაინში დადო ბელორუსასთან (1999 წ.), ყაზახეთთან (2000 წ.), ტაჯიკეთთან (2001 წ.) და ყირგიზეთის რესპუბლიკასთან (2003 წ.).

2001 წლის იანვარში უკრაინის პარლამენტმა მოქალაქეობის შესახებ ახალი კანონი მიიღო, რომელმაც კიდევ უფრო დაი ადგილი დაუთმო მოქალაქეობის უქინლობის თავიდან აცილების საკითხს. სხვა დებულებებითან ერთად, კანონი, რომელშიც 2005 წელს ცვლილებები შევიდა, განმცხადებლებს უფლებას აძლევს სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე უარი განცხადონ უკრაინის მოქალაქეობის მიღებიდან 1 წლის მანძილზე; კანონი არ თხოულობს ფორმალური უარის თქმას, თუ ამასთან დაკავშირებული ხარჯები უკრაინაში მინიმალურ თვიურ ხელფასს აჭარბებს.

კანონდებლობა და გამოცდილება ბავშვების შესახებ

სამოქალაქი და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტისა (ICCPR) და ბავშვის უფლებათა კონვენციის (CRC) თანახმად, ყველა ბავშვი, დაბადების ადგილის მიუხედავად, რეგისტრირებული უნდა იყოს დაბადებისთანავე; ყველა ბავშვს აქვს მოქალაქეობის მიღების უფლება; ბავშვის მოქალაქეობის საკითხი წყდება შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე და ყველა სახელმწიფო მოთხოვს მონაცემებს, თუ სად დაიბადა ბავშვი და ვინ არიან მისი მშობლები. დაბადების დამატებიცელი საბუთის, ანუ დაბადების რეგისტრაციის ცნობის გარეშე თითქმის შეუძლებელი ბავშვის ვინაობის დადგენა და, შესაბამისად, მოქალაქეობის მიღებაც.

ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად:

- სახელმწიფოებმა ყველა საჭირო რესურსი უნდა მიაწოდონ შესაბამის ადგილობრივ აღმინისტრაციას იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაბადების რეგისტრაცია ხორციელდებოდეს სისტემატურად ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის (CRC) მე-7 მუხლისა და სამოქალაქი და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (ICCPR) 24-ე მუხლის თანახმად.
- ბავშვის დაბადების რეგისტრირებისას სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ სადაცო მოქალაქეობის შემთხვევები და მიანიჭონ ბავშვს მოქალაქეობა, თუ იგი სხვა შემთხვევაში მოქალაქეობის არქექინე პირი გახდება. ეროვნული კანონმდებლობა კონვენციისთან შეერთების შემდეგ უნდა შეიცავდეს მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შემცირების შესახებ 1961 წლის კონვენციის შესაბამის დებულებებს. ეს დადგენილებები უნდა შედიოდეს შიდა კანონმდებლობაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახელმწიფო არ არის 1961 წლის კონვენციის წევრი.
- მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს დებულებებს იმ ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შესახებ, რომელშიც დაიბადა ბავშვი. ეს თავიდან აგვილებს მოქალაქეობის უქონლობას იმ შემთხვევებში, თუ ბავშვის დაბადების

დროს მოქალაქეობის განსაზღვრისას დაშვებულია შეცდომა.

- დაქორწინებული მშობლების შვილებს ეროვნული კანონმდებლობა დაბადებისთანავე ანიჭებს მოქალაქეობის უფლებას. შეძლებისდაცვარად, ამგვარივე უფლებით უნდა სარგებლობდნენ უკანონოდ (ქორწინების გარეშე) დაბადებული ბავშვებიც.

ბევრ ქვეყანაში ქალებს არ აქვთ უფლება საკუთარი მოქალაქეობა გადასცენ შვილებს მაშინაც კი, როცა ბავშვი იბადება იმ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეა დედა, ხოლო მამას საერთოდ არ აქვს მოქალაქეობა. ამ შემთხვევაში ბავშვი მოქალაქეობის არმქონ პირია.

ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად:

- გათხოვილ ქალთა მოქალაქეობის შესახებ 1957 წლის კონვენციისა და ქალთა დისკრიმინაციის კველა ფორმის აღმოცხვრის შესახებ 1979 წლის კონვენციის თანახმად, ქალს და მამაკაცს უნდა გააჩნდეთ თანბარი უფლები შვილების მოქალაქეობის განსაზღვრისას. ამ პრონციპების გამოყენება თავიდან აგვაცი-ლებს როგორც ქალთა დისკრიმინაციას, ასევე იმის საშიშროებას, რომ ბავშვი მეტვიდრეობით მიიღებს მოქალაქეობის არმქონ პირის სტატუსს მამისაგან, თუ ეს უკანასკნელი მოქალაქეობის არმქონა.
- სახელმწიფოებმა საკუთარ ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა შეიტანონ შესაბამისი დებულებები სქესობრივი ნიშნით არსებული დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ობოლ და მიტოვებულ ბავშვებს ხშირ შემთხვევებში არ გააჩნიათ დადასტურებული მოქალაქეობა. უკანონოდ დაბადებულ ბავშვებსაც შესაძლებელია გარკვეული სირთულეები შეექმნათ მოქალაქეობის მიღებისას.

ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად:

- სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნაპოვნ ბავშვებს უნდა მიერიქოთ ამ სახელმწიფოს მოქალაქეობა. ეს პრინციპი დადასტურებულია როგორც მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საერთაშორისო დოკუმენტებში, ისე ბევრი სახელმწიფოს კანონმდებლობაში მოქალაქეობის შესახებ.
- ბავშვის მოქალაქეობის განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ბავშვის ინტერესები.

ზოგიერთი ქვეყნის შვილად აყვანის პრაქტიკას ხშირად მოქალაქეობის უქონლობამდე მივყავართ, იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, ბავშვს არ შეუძლია მიიღოს მშვილებელი მშობლების მოქალაქეობა. 1967 წლის ევროპული კონვენცია შვილად აყვანის შესახებ მოუწოდებს სახელმწიფოებს გაამარტივონ მათი მოქალაქეების მიერ შვილად აყვანილი ბავშვებისათვის მოქალაქეობის მინიჭების პროცედურა.

ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად:

- სახელმწიფოებმა თავიანთ კანონმდებლობაში უნდა მიუთითონ, რომ საერთაშორისო სამართლის თანახმად, საზღვარგარეთ განხორციელებული შვილად აყვანა აღიარებულია შიდა კანონმდებლობით.

აღმინისტრაციული პრაქტიკა

არსებობს უამრავი აღმინისტრაციული და პროცედურული საკითხი მოქალაქეობის მიღებასთან, აღდგენასა და დაკარგვასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, როდესაც

პირი ექვემდებარება მოქალაქეობის მიღებას – მაშინაც, კი, როდესაც ის მოახერხებს და მოქალაქეობაზე წარადგენს განცხადებას – გადაჭარბებულმა ადმინისტრაციულმა სარჯებმა, დროში გაჭამურებამ და/ან სავალდებულო დოკუმენტების წარდგენის შეუძლებლობამ იმის გამო, რომ საბუთები კვლავ ყოფილი მოქალაქეობის ქვეყნის საკუთრებაშია, შესაძლოა ხელი შეუშალოს მას მოქალაქეობის მიღებაში.

ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად:

- მოქალაქეობის მიღების, შეჩერების, დაკარგვის, ალდგენის ან დადასტურების დაკავშირებული განცხადები განხილულ უნდა იქნას გონივრულ ვადაში.
- მოქალაქეობის მიღების ან დაკარგვის ავტომატური რეგისტრაციისას (*ex lege*), მათ შორის იმ შემთხვევებშიც, როცა საქმე გვაქვს კანონიერი და მუდმივი მაცხოვრებლებისათვის სახელმიწოდებლის სამართალმეცვიდრეობასთან, არ უნდა არსებობდეს ნერილობითი ჩვენების წარდგენის მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად სახელმიწოდებებს ურჩევენ, შეინახონ მოქალაქეობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ჩანაწერები.
- მოქალაქეობის მიღების, შეჩერების, დაკარგვის, ალდგენის და დადასტურების პროცესებთანთან ან მათთან დაკავშირებული ადმინისტრაციული და იურიდიული გახილვებისათვის განცხადები უნდა იყოს მისაღები.

კანონები და პრაქტიკა ქალთა საკითხებზე

ზოგიერთი სახელმიწოდო ავტომატურად უცვლის ქალს მოქალაქებრივ სტატუსს, როდესაც იგი სხვა ქვეყნის მოქალაქეს მოჰყვება ცოლად. შედეგად, ქალი შესაძლებელია მოქალაქეობის არმქონე პირად იქცეს, თუ იგი ავტომატურად არ მიღებს შეუძლებელს მოქალაქეობას ან თუ მის შეუძლება არ აქვს მოქალაქეობა.

ქალი შეიძლება იქცეს მოქალაქეობის არმქონე პირად, თუ მეუღლის მოქალაქეობის მიღების შემდეგ ქორწინება დაირღვევა, იგი დაკარგვას ქორწინების შედეგად მიღებულ მოქალაქეობას, ხოლო მისი პირელადი მოქალაქეობა არ იქნება ავტომატურად აღდგენილი.

ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად:

- გათხოვილ ქალთა მოქალაქეობის შესახებ 1957 წლის კონვენცია და ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 1979 წლის კონვენცია, ცდილობენ ქალს მიანიჭონ მამაკაცის თანაბარი უფლებები მის მიერ მოქალაქეობის შექნის, შეცვლის და შენარჩუნების დროს. კონვენციებში მოცემული პრინციპები თანამად, ქმრის მოქალაქეობა არ უნდა იწვევდეს ცოლს მოქალაქეობის ავტომატურ შეცვლას, არ აქცევდეს მას მოქალაქეობის არმქონე პირად და არ აძრულებდეს ქმრის მოქალაქეობის მიღებას.
- იმ სახელმიწოდებმა, რომლებშიც ქალებს არ გააჩნიათ მამაკაცების თანასწორი უფლებები და, შესაძლოა, ავტომატურად დაკარგონ მოქალაქეობა გათხოვებისას ან ამის გამო უწევთ თავით მოქალაქეობაზე უარის თქმა, საკუთარ კანონმდებლობაში მოქალაქეობის შესახებ უნდა შეიტანონ დებულებები, რომელთა ძალით ოჯახის დაშლის შემთხვევაში ქალებს უფლება მეცემათ, მარტივი განცხადის საფუძველზე ავტომატურად დაიბრუნონ ყოფილი მოქალაქეობა.

მოქალაქეობის ავტომატური დაკარგვა

ზოგიერთი სახელმწიფო ავტომატურად აუქმებს იმ პირის მოქალაქეობას, რომელმაც დატოვა საკუთარი ქვეყნა ან ცხოვრისს საზღვარგარეთ. მოქალაქეობის გაუქმება, რომელიც შესაძლოა მოხდეს პირის ქვეყნიდან გამგზავრებიდან რამდენიმე თვეში, ხშირად დაკავშირებულია მანქიერ ადმინისტრაციულ პრაქტიკასთან, როცა არ აფრთხილებენ პირს მოქალაქეობის დაკარგვის რისკის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ ის რეგულარულად არ დარეგისტრირდება საკუთარი ქვეყნის შესაბამის ორგანიზმი. თუ პირი ნატურალიზირებული მოქალაქეა და არა ამ სახელმწიფოში დაბადებული ან მექანიზმის მიერ მოქალაქეობის მქონე, მისთვის, შესაძლოა, რეგულარული რეგისტრაციაც კი არასაკმარისა აღმოჩენებს მოქალაქეობის შესანარჩუნებლად. მოქალაქეობის არქინა ხშირად სწორედ ამ პრაქტიკის პირდაპირი შედეგია.

ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად:

- მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შემცირების შესახებ 1961 წლის კონვენციის მუ-7 (3) მუხლი ადგენს, რომ პირმა არ უნდა დაკარგოს მოქალაქეობა და, შესაბამისად, არ გახდეს მოქალაქეობის არმქონე პირი ქვეყნიდან გამგზავრების და საზღვარგარეთ ცხოვრების გამო, თუკი მან რამე მიზეზით რეგისტრაცია ვერ გაიარა ან სხვა მსგავსი პრობლემა შეექმნა. კონვენცია ამ პრინციპიდან გამონაკლისს უშვებს მხოლოდ ნატურალიზირებული მოქალაქეებისთვის, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ უწყვეტად შვიდი წელი. ამ პირებმა თავიანთი სურვილი მოქალაქეობის შესანარჩუნების შესახებ უნდა განუცხადონ შესაბამის ორგანოებს. სახელმწიფოებმა კი თავის მხრივ, საკონსულო სამსახურების საშუალებით ადგევატურად უნდა შეატყობინონ ნატურალიზირებულ მოქალაქეებს ამ პოლიტიკის შესახებ როგორც ქვეყნის საზღვრებს შიგნით, ისე საზღვრებს გარეთ.
- შედარებით ახალი სამართლებრივი ინსტრუმენტები, როგორიცაა, მაგალითად, ევროპის კონვენცია მოქალაქეობს შესახებ, უფლებას არ აძლევს სახელმწიფოებს მოქალაქეობა ჩამოართვან პირს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ, თუ ამ ქმედების შედეგად ეს პიროვნება მოქალაქეობის არმქონე პირი გახდება.

სახელმწიფოს სამართლებელი ვიზუალური მიზანები დაკავშირებული მიზანები

ტერიტორიის ან სუვერენიტეტის გადაცემა

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული საერთაშორისო დოკუმენტები და დადგენილებები ნანილობრივ შეეხება ტერიტორიის ან სუვერენიტეტის გადაცემას, ეს მოვლენები დიდი ხანია იწვევენ მოქალაქეობის არქონას. ცხადია, ეროვნული კანონები და პრაქტიკა იცვლება, როდესაც სახელმწიფო განიცდის აბსოლუტურ ტერიტორიულ ან სუვერენიტეტულ ცვლილებებს; როდესაც სახელმწიფო თავს დააღწევს კოლონიურ მდგომარეობას ან მოიპოვებს დამოუკიდებლობას რომელიმე სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, თუ ახალი სახელმწიფო ან სახელმწიფოები დაშლილი სახელმწიფოს სამართლებელი მექანიზმები არიან ან თუ მოსალოდნელია სახელმწიფოს კვლავ აღდგენა მისი დაშლის შემდეგ, აღნიშნულმა მოვლენებმა შესაძლოა დასაბამი მისცენ ახალი კანონებისა და დაგენილებების და/ან ახალი აღმინისტრაციული პროცედურების

მიღებას. ადამიანები შესაძლოა მოქალაქეობის არმქონე პირებად იქცნენ ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში, თუ ისინი ვერ მოახერხებინ მოქალაქეობის მიღებას ახალი კანონმდებლობის/დადგენილებების ან ადმინისტრაციული პროცედურების თანახმად, ან თუ მათ უარი ეუბნებიან მოქალაქეობაზე შანაძდე არსებული კანონებისა და პრაქტიკის ახლებურად გააზრების გამო.

ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად:

- მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვის შემცირების შესახებ 1961 წლის კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოქალაქეობის არქონის შემთხვევები არ წარმოიქმნენ ტერიტორიის გადაცემის შედეგად. სახელმწიფოებმა ხელი უნდა მოაწერონ ორმხრივ ან მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, რომელიც შეიცავენ იმის დამადასტურებელ დადგენილებებს, რომ პიროვნება მოქალაქეობის არმქონე პირად არ იქცევა ამგვარი ცვლილების შედეგად. თუკი ხელშეკრულება არ არის დადებული, შესაბამისა სახელმწიფოებმა მოქალაქეობა უნდა მიანიჭონ მათ, ვინც სხვა შემთხვევაში მოქალაქეობის არმქონე პირად ჩაითვლება.
- საზოგადოდ, მოსახლეობა დაკავშირებულია ტერიტორიასთან, თუმცა ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, კონსტიტუციური დადგენილება და კანონმდებლობა მოქალაქეობის შესახებ გვთავაზობს სამართალტექნიკიდრე სახელმწიფოების მოქალაქეობის არჩევას.
- სახელმწიფოების სამართალმემკვიდრეობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები შესაძლოა შეიცვდეს პირობებს, რომლებშიც ყურადღება გამახვილებული იქნება მოქალაქეობის საკითხში სახელმწიფოთა დაშლის ან გამოყოფის გავლენაზე.
- სახელმწიფოების სამართალმემკვიდრეობასთან დაკავშირებული მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობის კოდიფიცირებისა და განვითარების საჭიროების პასუხად გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიამ (ILC) მოამზადა ამ საკითხთან დაკავშირებული მუხლების პროექტი, რომლებიც შესულია 2001 წლის გაეროს გნერალური ასამბლეის № 55/153 რეზოლუციის დანართში.

აღნიშნული მუხლების პროექტის თანახმად:

- ყველა სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა პირები, რომლებიც სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს შექმნამდე ფლობდნენ წინამორბედი სახელმწიფოს მოქალაქეობას, არ იქცნენ მოქალაქეობის არმქონედ სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს წარმომობის შემდეგ.
- პირმა, რომლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მდებარეობდა ტერიტორიაზე, რომელზეც შეიქმნა სამართალმემკვიდრე სახელმწიფო, დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ამ უკანასკნელის მოქალაქეობა.
- მემკვიდრე სახელმწიფოებმა არ უნდა მიანიჭონ თავისი მოქალაქეობა, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ პარებს, ვისი მუდმივი საცხოვრებელიც მდებარეობს სხვა სახელმწიფოში, თუ მათ არ ემუქრებათ მოქალაქეობის არმქონე პირებად დარჩენა.
- სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ პირთა ნება-სურვილი, თუკი მათ უფლება აქვთ მიიღონ ორზე ან ორზე მეტი სახელმწიფოს მოქალაქეობა. ყოველი სახელმწიფო პირს ნებას რთავს, აირჩიოს იმ სახელმწიფოს მოქალაქეობა, რომელთანაც აქვს სათანადო კავშირი, თუ სხვა შემთხვევაში ის მოქალაქეობის არმქონედ ჩაითვლება.

- სახელმწიფოები არ უნდა ეუბნებოდნენ უარს პირებს მოქალაქეობის შე-ნარჩუნების, მიღების ან მოქალაქეობის არჩევანის უფლებაზე რაიმე სახის დასკრიმინაციის საფუძვლით.
- ევროპული კონვენცია მოქალაქეობის შესახებ და სახელმწიფოთა სამართალმემ-კვიდრეობასთან დაკავშირებით მოქალაქეობის არქონის თავიდან აცილების ოქმის პროექტი აერთიანებენ 1961 წლის კონვენციის დაბულებებს და იმ პრინციპებს, რომლებიც შესულია საერთაშორისო სამართლის კომისიის (ILC) მიერ შედგე-ნილი მუხლების პროექტში. ევროპული კონვენცია ცალკე თავს უთმობს სამარ-თალმემკვიდრე სახელმწიფოს წარმოშობისა და მოქალაქეობის საკითხს, სადაც ყურადღება ძირითადად გამახვილებულია შემდეგ გარემოებებზე:
 - უტყუარი და ეფექტური კავშირი პირსა და სახელმწიფოს შორის;
 - პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს წარმოშობისას;
 - პირის სურვილი; და
 - პირის გეოგრაფიული წარმომავლობა.

გარდა ამისა, ევროპული კონვენცია მოქალაქეობის შესახებ ადგენს, რომ წინამორბედი სახელმწიფოს ტერიტორიის მუდმივ მაცხოვრებლებს, რომელთაც არ ჰქონდათ იმ ქვეყნის მოქალაქეების სტატუსი, რომლის სუვერენიტეტიც გადაეცა მტკვიდრე სახელმ-წიფოს და რომელთაც ჯერ არ მიუღაათ მტკვიდრე სახელმწიფოს მოქალაქეობა, უნდა შეუნარჩუნდეთ ამ სახელმწიფომ დარჩენისა და იგივე სოციალური და ეკონომი-კური უფლებებით სარგებლობის უფლება, როგორიც ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს გააჩინათ.

- სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის გამო მოქალაქეობის უქონლობის თავიდან აცილების შესახებ ოქმის პროექტით შემუშავებულია მტკიცების კონკ-რეტული წესები (მუხლი 8), მოქალაქეობასთან დაკავშირებით სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობისას:

„მტკვიდრე სახელმწიფო დაუინებით არ მოითხოვს მოქალაქეობის მინიჭები-სათვის საჭირო სტანდარტულ დამამტკიცებელ საბუთებს იმ შემთხვევებში, თუ პირები უკვე არიან ან შესაძლოა მომავალში გახდნენ მოქალაქეობის არმქონე პირებად სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შედეგად და როცა მიუღე-ბელია ამგარი პირებისათვის სტანდარტული მოთხოვნების წაყენება.“

მტკვიდრე სახელმწიფო არ ითხოვს მეორე მოქალაქეობის მიუღებლობის დამამტკიცებელ საბუთს მოქალაქეობის მინიჭებამდე იმ პირებისათვის, რომ-ლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამართალმემ-კვიდრე სახელმწიფოთა შემქმნამდე და რომელნიც უკვე არიან ან შესაძლოა მომავალში გახდნენ მოქალაქეობის არმქონე პირებად სამართალმემკვიდრე სახელმწიფოთა შექმნის შემდეგ.“

მე-8 მუხლის პირველი ქვეპუნქტი განიხილავს შემთხვევას, როდესაც პირისათვის შეუძლებელი ან მეტად როულია დამამტკიცებელ საბუთებთან დაკავშირებით სტანდარტული მოთხოვნების შესრულება მოქალაქეობის მისაღებად აუცილებელი პირობების დასაკმაყოფილებლად. ზოგიერთ შემთხვევაში პირისათვის შესაძლოა შეუძლებელი აღმოჩნდეს საკუთარი წარმოშობის შესახებ სრული დოკუმენტაციის წარდგენა, მაგალითად, სამოქალაქო რეესტრის არქივის განადგურების გამო. შესა-ძლოა შეუძლებელი აღმოჩნდეს ცნობის წარდგენა საცხოვრებელი ადგილის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი ადგილი არ იყო რეგისტრირებული. ეს დადგე-

ნილება ვრცელდება იმ სიტუაციებზეც, როდესაც პიროვნებას თეორიულად შეუძლია დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა, მაგრამ გაუმართლებელია მისთვის ამგარი მოთხოვნის წაყენება; მაგალითად იმ შემთხვევაში, თუ ეს მოთხოვნა პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხეში ჩააგდებდა. შემთხვევები, რომლებიც ართულებენ დამამტკიცებელი საბუთების წარდგენას, ყოველთვის პირდაპირ არ უკავშირდებიან სახელმწიფოთა მემკვიდრეობის უფლებათა გადაცემის შემთხვევებს. ისინი შესაძლოა სახელმწიფოთა მემკვიდრეობის უფლებათა გადაცემის ან მის შემდგომ მომზდრი მოვლენების შედეგად წარმოშვან, მაგალითად, როდესაც წინამორბედი სახელმწიფოს რეუიმის დროს სამოქალაქო რეესტრი განადგურდა ან ძირითადი დოკუმენტაცია არ გაიცა მოსახლეობის გარკვეულ ნანილზე. ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში დამამტკიცებელი დოკუმენტაციის და/ან დამოუკიდებელი მტკიცებულების წარდგენის დიდი აღართობა საკუთრისი იქნება იმ პირობების შესასრულებლად, რაც აუცილებელია მემკვიდრე სახელმწიფოს მოქალაქეობის მისაღებად.

მ-ე-8 მუხლის მეორე ქვეპუნქტი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა წინამორბედი სახელმწიფო აღარ არსებოს და მოცემული სახელმწიფოს ყველა მოქალაქემ დაკარგა მოქალაქეობა. თუ მემკვიდრე სახელმწიფო არ აღარსებს მრავალ-მოქალაქეობას ან ზღუდვს მოქალაქეობების ოფენობას, ამ სახელმწიფომ შესაძლოა მოთხოვოს დამადასტურებელი საბუთი იმისა, რომ პიროვნებას არა აქვს მოღებული სხვა ქვეყნის მოქალაქეობა ან არის მოქალაქეობის არმქონე პირი. იმ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა, რომ პირი არ ფლობს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას ან მოქალაქეობის არმქონე პირად ითვლება, ხმრად შეუძლებელია, ვინაიდან ეს პროცესი სახელმწიფოთა თანამშრომლობას ეფუძნება. თუ არსებობს საშიროება იმისა, რომ პირი სამართალმემკვიდრე სახელმწიფოთა შექმნის შედეგად შესაძლოა იქცეს მოქალაქეობის არმქონედ, სამართალმემკვიდრე სახელმწიფო მოქალაქეობის მინიჭებამდე არ ითხოვს იმის დამადასტურებელი საბუთს, რომ პირი არ ფლობს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას ან ითვლება მოქალაქეობის არმქონე პირად. ეს წესი ეფუძნება გაგრცელებულ მოსაზრებას, რომ მოქალაქეობის უქნლობის თავიდან აცილება საერთაშორისო საზოგადოების უპირველესი ამოცანაა, მაშინ როცა ორზე მეტი სახელმწიფოს თანხმობა ან უარი მოქალაქეობაზე ინდივიდუალურად თითოეული სახელმწიფოს გადასაწყვეტი საკითხია.

აღნიშნული დებულებები ხელს არ უშლის საკუთარ ტერიტორიაზე მრავალმოქალაქეობის რიცხვის შემცირების მოსურნე სახელმწიფოს, ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოებთან და გაცვალოს ინფორმაცია მოქალაქეობის მიღებასა და დაკარგვასთან დაკავშირებით. მრავალმოქალაქეობის თავიდან აცილება შესაძლებლივ მოქალაქეობის თობაზე კანონებს შორის ზოგიერთ საკითხზე კონფლიქტის შესახებ 1930 წლის ჰავაის კონვენციის დებულებით, რომელიც ეხება სხვა მოქალაქეობის არ ცნობას და ევროპული კონვენციის 7.1 მუხლით, რომელიც პირის მიერ მეორე სახელმწიფოს მოქალაქეობის ნებაყოფლობით მიღების შემთხვევაში სხვა მოქალაქეობის ავტომატური დაკარგვის შესაძლებლობას ითვალისწინებს. სახელმწიფომ შესაძლოა ასევე მოსთხოვოს პირს წერილობითი განცხადების გაკეთება იმის დასადასტურებლად, რომ აღნიშნული პირი არ ფლობს და არც მომავალში მიიღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას. ეს საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, გააუქმოს მოქალაქეობა, თუ მომავალში აღმოჩნდება, რომ პირმა ყალბი განცხადება გააკეთა.

ნარჩათებული გამოცდილება: ჩეხეთის რესპუბლიკა

როდესაც 1993 წლის 1 იანვარს ყოფილი ჩეხისლოვაკიის რესპუბლიკა ფორმალურად დაშალა, ორივე მემკვიდრე სახელმწიფომ - ჩეხეთის რესპუბლიკამ და სლოვაკეთის რესპუბლიკამ - მიიღო ახალი კანონმდებლობა მოქალაქეობის შესახებ, რომელიც განსაზღვრავდა თითოეული ქვეყნის მოქალაქეების სტატუსს და პროცედურას, რომლის საშუალებითაც პირს შეეძლო მოქალაქეობის მიღება.

ორივე ქვეყნის საკანონმდებლო კრებული ეფუძნებოდა ჩეხისლოვაკიის 1969 წელს შექმნილ კანონმდებლობას მოქალაქეობის შესახებ, ასე რომ არც ერთი მათგანი არ იყო მისაღები ახალი რესალობისათვის.

ორივე ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოს მოქალაქეობის შესახებ შედა კანონმდებლობის თანამტაც, 1954 წლამდე დაბადებული პირები - ანუ 15 წლისანი და 15 წელს ზემოს, იმ დროს, როცა ჩეხისლოვაკია სოციალისტური რესპუბლიკა ორი რესპუბლიკისაგან შემდგარ ფედერაციად იქცა - მოქალაქეები იყვნენ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაიბადნენ (*jus soli*). 1954 წლის შემდგომ დაბადებული პირები ამ სახელმწიფოების მოქალაქეებად ითვლებოდნენ ან *jus soli*-ის საფუძველზე (შერეული მოქალაქეობის - ჩეხი/სლოვაკი შპობლების შვლები ჩვეულებრივ დებულობდნენ იმ სახელმწიფოს მოქალაქეობას, რომლის ტერიტორიაზეც დაიბადნენ), ან მათი შპობლების მოქალაქეობის მიხედვით (*jus sanguinis*), როდესაც ორივე მშობელი ფლობდა ერთსა და იმავე მოქალაქეობას. ამის შედეგად ბევრი ადამიანს, რომელთაც მთელი ცხოვრება ჩეხეთის რესპუბლიკი გაატარეს, სლოვაკეთის მოქალაქეობა მიანიჭეს და პირიქით. ჩეხეთის რესპუბლიკი მცხოვრები ბოშური წარმომანის უმცირესობის უმტკესი ნაწილი საბორთლებრივი გაუგებრობის მსხვერპლი აღმოჩნდა, ვინაღან ისინი ან თავად დაიბადნენ სლოვაკეთის ტერიტორიაზე ან ამგვარ წნაპართა შემკვიდრები იყვნენ.

მაშინ, როდესაც სლოვაკეთის ახალი კანონმდებლობა მოქალაქეობის შესახებ შეუზღუდვა უფლებას აძლევდა ჩეხისლოვაკიის ყველა ყოფილ მოქალაქეს, ჩეხეთის ახალმა აქტმა მოქალაქეობის შესახებ შემოიღო მკაცრი მოთხოვნები; ჩეხეთის მოქალაქეობის მისაღებად პირს

- ჩეხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე უნდა ჰქონოდა შენარჩუნებული და უწყვეტი მუდმივი ბინადრობის რეგისტრაცია ფედერაციის დაშლამდე სულ მცირე ორი წლის მანძილზე;
- ჩამორთმეული უნდა ჰქონოდა სლოვაკეთის მოქალაქეობა; და
- არ უნდა ჰქონოდა ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული გასული ხუთი წლის მანძილზე.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ჩეხეთისა და სლოვაკეთის მთავრობებმა თხოვნით მიმართეს **გლუქს**, რათა ამ უკანასკნელს დახმარება აღმოეჩინა მათთვის კანონთა შეუთანხმებლობით გამოწვეული მოქალაქეობის უქონლობის პრობლემის მოსაგარებლად. **გლუქმა** ორი კვლევითი მისია გაგზავნა რეგიონში და კონსულტაციები გვამართა მთავრობებთან მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობასთან დაკავშირებით.

1996 წელს **გლუქმა** დახმარება გაუწია პრაღაში მოქალაქეობის საკითხთან დაკავშირებული საკინსულტაციო ცენტრის დაარსებას. ცენტრი ოურიდიულ და სოციალურ კონსულტაციებს სთავაზობს ჩეხისლოვაკიის ყოფილ მოქალაქეებს. ამჟამად ეს ადამიანები მოქალაქეობის არქიტექტონი პირები არიან, თუმცა მათ შორის ბევრს შეიძლება პროფესიებს ხანგრძლივი და ნამდვილი კავშირი ჩეხეთის რესპუბლიკასაან. ერთ წლისადშე ცენტრმა დახმარება გაუწია დაახლოებით 6 000 ადამიანს, მათ შორის 900 ბავშვს, რომლებიც ბავშვთა საბაზებში აღმოჩნდნენ; 3 500-ზე მეტ პირს, რომლებიც ჩეხეთის ციხეში აღმოჩნდნენ და 2 000-ზე მეტ სხვა პირს, რომელთაც ვერ შეძლეს დაედგინათ ან ესარგებლათ საკუთარი მოქალაქეობით.

გლუქისა და ევროსაბჭოს წევენის თანახმად, ჩეხეთის მთავრობამ დაიწყო მოქალაქეობის

მიღებაზე დაწესებული შეზღუდვების გამარტივება. 1996 წლის აპრილში ჩეხეთის საკანონმდებლო ორგანომ ცვლილება შეიტანა მოქალაქეობის შესახებ აქტში, რამაც შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობა მისცა უარი ეთქვა მოთხოვნაზე, რომელიც შეეხებოდა ნასამართლეობის არქინას იმ განმცხადებლებისათვის, რომელიც უწყვეტად ცხოვრობდნენ ჩეხეთის რესპუბლიკაში და ფლობდნენ აქ ცხოვრების დამადასტურებელ ოფიციალურ დოკუმენტაციას.

მოგვიანებით, 1999 წელს ჩეხეთის საკანონმდებლო ორგანომ აღნიშნულ აქტში კიდევ ერთი ცვლილება შეიტანა, რაც ჩეხეთის რესპუბლიკის მოქალაქეებად გახდომის უფლებას აძლევდა ყოფილი ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეებს, რომელიც მუდმივად ცხოვრობდნენ იმ ტერიტორიაზე, რომელიც გახდა ჩეხეთის რესპუბლიკა, მაგრამ არ ფლობდნენ აქ ცხოვრების ოფიციალურ წებართვას. ამ ცვლილების თანახმად, აღნიშნულ პირებს უფლება მიეცათ დაუმტკიცებინათ ცხოვრების წებართვა სამსახურებრივი კონტრაქტებით და/ან კონტრაქტებით საცხოვრებელზე და/ან მოწმის საფუძველზე. არც მათთვის მოუთხოვიათ ნასამართლეობის უქონლობა. თანდათანობით გლუკის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ჩეხეთის ხელისუფლების შეთანხმებული მცდელობის შედეგად ყოფილ ჩეხოსლოვაკელებს, რომელიც მუდმივად ცხოვრობდნენ ჩეხეთის რესპუბლიკაში, ფედერაციის დაშლის შემდეგ ჩეხეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შეუზღუდავი უფლება მიერიჭათ.

დისკიდინაციასთან ან მოქალაქეობის უკანონოდ ჩამორთხვასთან დაკავშირებული მიზანები

დისკრიმინაცია

სახელმწიფოს დისკრიმინაციის ერთ-ერთი პრინციპული შეზღუდვა, მოქალაქეობის მინიჭების ან მოქალაქეობაზე უარის თქმის დროს, გახლავთ რასობრივი დისკრიმინაციის აკრძალვა. აღნიშნული პრინციპი მოცემულია რასობრივი დასკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციასა და ბევრ სხვა დოკუმენტში. არა-ამოქალაქეების მიმართ დისკრიმინაციის შესახებ 2004 წლის 1 ოქტომბრის ზოგად რეკომენდაციაში გაერთს კომიტეტმა რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით დაადგინა, რომ „მოქალაქეობის ჩამორთმევა რასის, კანის ფერის, წარმომავლობის ან ეროვნული თუ ეთნიკური ნარმოშობის საფუძველზე სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ვალდებულების - უზრუნველყონ მოქალაქეები მათი მოქალაქეობის უფლების არადისკრიმინაციული სარგებლობით – დარღვევაა.“

თუმცა, ზოგჯერ პირებს არ შეუძლიათ კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება მასთან არსებული მჭიდრო კავშირების მიუხედავად – კავშირებისა, რომელიც სხვა პირებისათვის საკმარისი იქნებოდა მოქალაქეობის მისაღებად. რასაზე, კანის ფერზე, წარმომავლობაზე, ეთნიკურ ან ეროვნულ ნარმოშობაზე, რელიგიაზე, სქესზე, პოლიტიკურ მრნამსზე ან სხვა ფაქტორებზე დაფუძნებული დისკრიმინაცია შესაძლოა იყოს აშკარა ან შემთხვევით გაპარული კანონებში ან მათი დანერგვისას. “კანონები შესაძლოა ჩაითვალოს დისკრიმინაციულად, თუ ისინი შეციკვენ დისკრიმინაციული სასიათის მქონე დებულებებს, ან თუ მათი გამოყენების შედეგი დისკრიმინაციაა.

პრიბლემის თავიდან ასაცილებლად საჭიროა:

- იმის უზრუნველყოფა, რომ დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი მოქალაქეობის საკითხთან მიმართებაში გამჟარებული იყოს კონსტიტუციითა და კანონებით მოქალაქეობის შესახებ და რომ მოხდება ამ პინცეპების დანერგვა ადმინისტრაციული და სასამართლო გადაწყვეტილებების საშუალებით.
- სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა როგორც

ქვეყნის შიგნით, ასევე სხვა სახელმწიფოებთან თანაბრძოლობისას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყოველ ბავშვს ეძღვეოდეს მოქალაქეობა დაბადებისთანავე. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სამართლის თანაბმად, დაქორნინებული შმობლების შვილები, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები და მოქალაქეობის არმქონე შმობლების შვილები - ყველა უნდა სარგებლობდეს მოქალაქეობის თანაბარი უფლებით.

- გათხოვილ ქალთა მოქალაქეობის შესახებ 1957 წლის კონვენცია და ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 1979 წლის კონვენცია მიზნად ისახავენ მოქალაქეობის შექნის, შეცვლის და შენარჩუნებისას ქალისა და მამაკაცისათვის თანაბარი უფლებების მინიჭებას. კონვენციების პრინციპების შესაბამისად, ქმრის მოქალაქეობივი სტატუსი არ იწვევს ცოლის მოქალაქეობის ავტომატურ შეცვლას, არ აქცევს მას მოქალაქეობის არმქონე პირად და არ აიძულებს მას ქმრის მოქალაქეობის მიღებას.

მოქალაქეობის ჩამორთმევა ან უარი მოქალაქეობაზე

ადამიანის უფლებათა საყოველთავი დეკლარაცია ადგენს, რომ დაუშვებელია ვინ-მესტვის მოქალაქეობის იძულებით ჩამორთმევა. 1961 წლის კონვენცია და ევროპული 1997 წლის კონვენცია მოქალაქეობის შესახებ მეცნიერებულ ზღუდას სახელმწიფოთა ინიციატივას მოქალაქეობის ჩამორთმევის თაობაზე. მოქალაქეობის ამგვარ დაკარგვას თან უნდა ახლდეს სრული პროცედურული გარანტიები და არ უნდა გადაიზარდოს მოქალაქეობის უქონლობაში.

დენაციონალიზაცია მაშინ იჩენს თავს, როდესაც სახელმწიფო მოქალაქეს ართმევს მოქალაქეობას, რითაც ახორციელებს დისკრიმინაციულ პრაქტიკას. რასაც, ჩვეულებრივ, ქვეყნიდან პირის გაძევება სდევს თან.

ამ პრობლემის თავიდნ ასაცილებლად:

- საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპის თანაბმად, არცერთ პირს არ ჩამოერთმევა მოქალაქეობა, თუ ეს მოქალაქეობის უქონლობას გამოიწვევს.
- 1961 წლის კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შემცირებაზე ამ პრინციპთან დაკავშირებით ითვალისწინებს შემდეგ გამონაკლისებს:
 - მცდარი მეთოდებით ან გაყალბების შედეგად მიღებული მოქალაქეობა;
 - საზღვარგარეთ ცხოვრების გამო მოქალაქეობის დაკარგვა (იხილეთ ზემოთ);
 - ქმედებებით, რომლებიც არ შეესაბამება სახელმწიფოსადმი ერთგულების ვალდებულებებს ან მიმართულია სხვა სახელმწიფოსათვის სამსახურის გა-საწევად, არღვევს სპეციალურ აკრძალვას ან პიროვნული დამოკიდებულებით სერიოზულ ზიანს აყენებს სახელმწიფოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ინ-ტერესებს (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხები მითითებული იყო კანონში კონვენციის ხელმიწერის დროსათვის);
 - ფიცი ან ფორმალური განცხადება სხვა სახელმწიფოსადმი ერთგულებაზე, ან უარი მოცემულ სახელმწიფოსადმი ერთგულებაზე (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხი მითითებული იყო კანონში კონვენციის ხელმიწერის დროისათვის).

1961 წლის კონვენციის წევრი სახელმწიფოებს შეუძლიათ ჩამოართვან პირს მოქალაქეობა ზემოთ აღნიშნული მიზეზების საფუძველზე, თუ ეს კონვენციის ხელმიწერის

თითებულია კონვენციის ხელმოწერის, რატიფიკაციის ან მასთან შეერთების დროს, ან თუ კანონის თანახმად უზრუნველყოფილია სრული პროცედურული გარანტიებით, როგორიცაა სამართლის უფლება. წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია პირს ან პირთა ჯგუფს ჩამოართოვას მოქალაქეობა რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური ნიშნით.

- ევროპული 1997 წლის კონვენცია მოქალაქეობის შესახებ კიდევ უფრო ზღუდავს სახელმწიფოთა უფლებამოსილებას, როდესაც საქმე პირებისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევას შეეხება, თუ ეს იწვევს მოქალაქეობის უქონლობას. ამ კონვენციის თანახმად, მოქალაქეობის ჩამორთმევა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მოქალაქეობის მიღება განხორციელდა მცდარი საჭუალებებით ან გაყალბებით. თუმცა, თუ მოქალაქეობის ჩამორთმევა მოქალაქეობის უქონლობას არ იწვევს, სახელმწიფოს შეუძლია მოქალაქეობა ჩამოართოვას მოქალაქეს შემდეგი მიზეზების საფუძველზე:
 - სხვა ქვეყნის მოქალაქეობის ნებაყოფლობით მიღება;
 - სხვა ქვეყნის სამხედრო ძალებში ნებაყოფლობით სამსახური;
 - სახელმწიფოს არსებითი ინტერესებისთვის სერიოზული ზიანის მიყენება;
 - მუდმივად საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქის მოცემულ სახელმწიფოსთან უტყუარი კავშირის არ ასებობა;
 - ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ წინაპირობების შეუსრულებლობა, რომელსაც სახელმწიფოს მოქალაქეობის ავტომატურ მიღებამდე მივყავართ (ცრცელდება მხოლოდ არასრულნოვანებზე); ან
 - შეიძლა დაყვანილი ბავშვის მიერ ერთ-ერთი ან ორივე უცხო ქვეყნის მოქალაქე მშვილებელის მოქალაქეობის მიღება ან ფლობა.

მოქალაქეობის არაპროცესუალური რიცხვის გამოცირების შესახებ 1961 წლის გაეროს კონვენციის პირითადი დაგულებები

მოქალაქეობის მინიჭების შესახებ (1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 მუხლები)

მოქალაქეობა მიენიჭება იმ პირს, ვინც სხვა შემთხვევაში მოქალაქეობის არმქონებით იქმნებოდა და რომელსაც აქვს ეფუძნებული კავშირი სახელმწიფოსთან დაბადებით ან წარმოშობით. მოქალაქეობა ენიჭება:

- კანონის მოქმედებით, ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაბადებულ პირს დაბადებისთანავე;
- კანონის მოქმედებით დადგენილ ასაკში ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაბადებულ პირს, ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;
- ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაბადებული პირის მიერ განაცხადის წარდგენის შემთხვევაში (განაცხადის შეტანა შესაძლებელია, თუ არსებობს ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი ან ერთზე მეტი პირი): დაცულია განაცხადის წარდგენისათვის დადგენილი ვადები, დაკმაყოფილებულია მოთხოვნები საცხოვრებელი ადგილის მიმართ, კანონით გათვალისწინებულ გარკვეულ სისხლის სამართლის დანაშაულებზე ნასამართლეობის უქონლობა და/ან მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ პირი ყოველთვის იყო მოქალაქეობის არმქონება);
- დაბადებისთანავე კანონიერ შვილს, რომლის დედასაც აქვს იმ სახელმწიფოს მოქალაქეობა, სადაც დაიბადა ბავშვი;

- მემკვიდრეობით, პირს, რომელიც ვერ მიიღებს იმ წევრ სახელმწიფოს მოქალაქეობას, რომლის ტერიტორიაზეც ის დაიბადა, ასაკის ან საცხოვრებელი ადგილის მიმართ წარმყენებული მოთხოვნების გამო (განაცხადის შეტანა შესაძლებელია, თუ არსებობს ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი ან ერთზე მეტი პირის; დაცულია განაცხადის წარდგენისათვის დადგენილი ვადები, დაკმაყოფილებულია მოთხოვნები საცხოვრებელი ადგილის მიმართ და/ან მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ პირი ყოველთვის იყო მოქალაქეობის არმქონე);
- წევრ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნაპოვნ ბავშვებს;
- მოქმედი კანონის თანახმად, პირის დაბადებისთანავე (დაბადების ადგილის მიუხედავად), თუ ერთ-ერთ მშობელი წევრი სახელმწიფოს მოქალაქე იყო ბავშვის დაბადების მომენტში;
- ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, იმ პირის მიერ განაცხადის წარდგენის შემთხვევაში, რომელიც თუმცა არ არის დაბადებული მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მგრამ დაბადების დროისათვის მისი ერთ-ერთი მშობელი წევრი სახელმწიფოს მოქალაქე იყო (განაცხადის შეტანა შესაძლებელია, თუ არსებობს ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი ან ერთზე მეტი პირის; დაცულია განაცხადის წარდგენისათვის დადგენილი ვადები, დაკმაყოფილებულია მოთხოვნები საცხოვრებელი ადგილის მიმართ, ეროვნული უსაფრთხოების ნინაალმდევ მიმართულ დანაშაულზე ნასამართლეობის უქონლობა და/ან მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ პირი ყოველთვის იყო მოქალაქეობის არმქონე).

მოქალაქეობის დაკარგვისა და მოქალაქეობაზე უარის თქმის თაობაზე (მე-5, მე-6 და მე-7 მუხლები)

მოქალაქეობის დაკარგვა ან მასზე უარის თქმა უნდა ეფუძნებოდეს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობის ფლობას, ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გარანტიას.

გამონაკელისის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ წატურალიზირებული პირის შემთხვევაში, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ იცის ყველა ფორმალური პროცედურისა და დროში შეზღუდვის შესახებ, ცხოვრობს საზღვარგარეთ წლების განძილება და არ გამოხატავს მოქალაქეობის შენარჩუნების სურვილს. ამ შემთხვევაში წატურალიზირებული პირი გახლავთ ის, ვინც მიიღო მოქალაქეობა მონაზილე სახელმწიფოსადმი განაცხადის წარდგენის საფუძველზე და ამ სახელმწიფოს შეგძლო უარი ეთქვა განაცხადის დაკმაყოფილებაზე. მოქალაქეობის დაკარგვა შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად, რასაც თან ახლავს სრული პროცესუალური გარანტიები, როგორიცაა სამართლანი სასამართლოს ან სხვა დამოუკიდებელი ორგანოს მიერ საქმის განხილვის უფლება.

მოქალაქეობის ჩამორთმევა (მე-8 და მე-9 მუხლები)

არცერთ პირს არ ჩამოერთმევა მოქალაქეობა, თუ ეს მოქალაქეობის უქონლობას წარმოშობს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- მოქალაქეობა მიღებულია მცდარი მეთოდებით ან გაყალბების შედეგად;
- პირს ჩადენილი აქვს ქმედებები, რომელებიც არ შეესაბამება ერთგულების ვალდებულებებს ან პირვენული დამოკიდებულებით სერიოზულ ზიანს აყენებს სახელმწიფოს სასაცოცხლო მნიშვნელობის ინტერესებს (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხები მითითებული იყო კანონებში კონვენციაზე ხელმოწერის დროს); ან
- პირს დადებული აქვს ფიცი ან შევსებული აქვს ფორმალური დეკლარაცია

სახვა სახელმწიფოსადმი ერთგულებაზე, ან უარი აქვს ნათქვამი მონაწილე სახელმწიფოს ერთგულებაზე.

- ნატურალიზირებული პირი, რომელსაც დაკარგული აქვს ფაქტობრივი კავშირი მონაწილე სახელმწიფოსთან და შეტყობინების მიუხედავად, ვერ შეძლო გამოეხატა მოქალაქეობის შენარჩუნების სურვილი.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ ჩამოართვან პირს მოქალაქეობა ზემოთ აღნიშნული მიზეზების საფუძველზე, თუ ეს კონკრეტულად მითითებულია კონვენციაზე ხელმოწერის, რატიფიკაციის ან მასთან შეერთების დროს ან თუ კანონის თანახმად მინიჭებულია სრულ პროცედურული გარანტიები, როგორიცაა სამართლიანი სასამართლოს უფლება. მონაწილე სახელმწიფოს არ შეუძლია პირს ან პირთა ჯვეუფა ჩამოართვას მოქალაქეობა რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური ნიშნით.

ტერიტორიის დათმობაზე (მუხლი მე-10)

ხელშეკრულებებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არ წარმოიშვას მოქალაქეობის უქინებობა ტერიტორიის დათმობის მიზეზით. ხელმოწერილი ხელშეკრულების არასეპიბის შემთხვევაში შესაბამისი სახელმწიფო(ები) მოქალაქეობას აძლევს იმ პირებს, რომელიც სხვა შემთხვევაში მოქალაქეობის არმქონები იქნებოდნენ ტერიტორიის დათმობის ან მიღების შედეგად.

საერთაშორისო სააგენტოზე (მუხლი მე-11)

კონვენცია მოუწოდებს გაეროს ფარგლებში ისეთი ორგანოს დაარსებისკენ, რომელსაც განაცხადით მიმართავს ის პირი, რომელიც საკუთარ თავს უფლებამოსილად მიჩნევს მიიღოს კონვენციით გათვალისწინებული შედავათები და დახმარება. აღნიშნულმა ორგანომ

შემდგომ ეს განაცხადება უნდა გადასცეს განსახილველად ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს. გენერალურმა ასამბლეამ ეს პასუხისმგებლობა გლუკს დააკისრა.

დავების მოგვარება (მუხლი მე-14)

მონაწილე სახელმწიფოებს შორის კონვენციის ინტერპრეტაციასა და ცხოვრებაში გატარებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები, რომელთა გადაჭრაც ვერ მოხერხდა სხვა საშუალებებით, გაეგზავნება საერთაშორისო სასამართლოს დავის მონაწილე რომელიმე მხარის მოთხოვნის საფუძველზე.

საბოლოო აქტი

საბოლოო აქტი იძლევა რეკომენდაციას, რომ დე ფაქტო მოქალაქეობის არმქონე პირებზე შეძლებისდაგვარად გავრცელდეს იგივე უფლებები, რომლებიც ვრცელდება დე იურე მოქალაქეობის არმქონე პირებზე, რათა საშუალება მიეცეთ მათ, მიიღონ ფაქტობრივი მოქალაქეობა.

თავი 4

გლუკის როლი

გლუკი მოქალაქეობის არქონასთან დაკავშირებულ საკითხებში 1950 წლიდან, ანუ ფუნქციონირების დაწყებისთანავე ჩაერთო. ორგანიზაციას გაეროსგან მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, დაიცვას ლტოლვილები და დახმაროს მათ პრობლემების გადაჭრაში. ბევრი ლტოლვილი, რომელთაც აღნიშნული ორგანიზაცია წლების მანძილზე უწევდა დახმარებას, მოქალაქეობის არმქონე პირ გახლდათ. მართლაც, ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ახლო კაცშირი დამყარდა სახელმწიფო დაცვის დაკარგვას ან მასზე უარსა და მოქალაქეობის დაკარგვას ან მასზე უარს შორის. ახლა უკვე ზოგადად გასაგებია, რომ მოქმედი მოქალაქეობის ფლობა და იმ უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა, რაც მოქალაქეობაში იგულისხმება, ემარება პირს იძულებითი გადასახლების თავიდან აცილებაში.

როგორ ჩაერთო გლუკი მოქალაქეობის უქონლობის საკითხებში?

წლების მანძილზე გლუკის როლი მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვის შემცირებისა და მათგვის დახმარების აღმოჩენის საქმეში ორგანიზაციის გაფართოებასთან ერთად კიდევ უფრო გაიზარდა. მოქალაქეობის უქონლობის სფეროში გლუკის საქმიანობა ხორციელდება საერთაშორისო ხელშეკრულებების, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებისა და ორგანიზაციის მრჩეველთა ორგანოს - უმაღლესი კომისრის პროგრამის აღმასრულებელი კომიტეტის (ExCom) რეკომენდაციების საფუძვლზე.

არ არსებობს დადგენილება პასუხისმგებელი ორგანოს შექმნის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფდა მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ 1954 წლის კონვენციის იმპლემენტაციაზე მეთვალყურეობას. თუმცა, მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვის შემცირების შესახებ 1961 წლის კონვენციის მე-11 მუხლი მოთხოვს შეიქმნას „ორგანო, რომელსაც შეუძლია მიმართოს პირმა, რომელიც ითხოვს ამ კონვენციის საფუძველზე რაიმე უპირატესობით სარგებლობას, რათა ამ ორგანომ გადასინჯოს მისი მოთხოვნა ან აღმოჩენის დახმარება მისი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოში ნარდგენის საშუალებით“. როდესაც 1975 წელს კონვენცია შევიდა ძალაში, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გლუკს დააკისრა აღნიშნული ორგანოს როლი. ორგანიზაციის პასუხისმგებლობა კიდევ უფრო გამყარდა მოგვიანებით მიღებული რეზოლუციებით.

1995 წლის უმაღლესი კომისრის პროგრამის აღმასრულებელმა კომიტეტმა ყოვლისმომცველი დირექტორი მიღიღ მოქალაქეობის უქონლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე: დასკვნა მოქალაქეობის უქონლობის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დაცვის შესახებ (დასკვნა № 78). (აღმასრულებელი კომიტეტი შედგება სხვადასხვა ქვეყნის ნარმობადგენლებისაგან - 2006 წლის 25 სექტემბრისთვის არსებული მონაცემებით 70 წევრი ქვეყნაა - რომელსაც ირჩევს ECOSOC-ი ამ სახელმწიფოების მიერ ლტოლვილთა პრობლემების მოგვარების მიმართ გამოჩენილი ინტერესის საფუძველზე. აღმასრულებელი კომიტეტის 1995 წლის დასკვნა მოქალაქეობის არქონის შესახებ „მოუწოდებს გლუკს, კვლავაც გააგრძელოს მუშაობა მოქალაქეობის არმქონე პირთა ინტერესების დასაცავად“ და „თხოვნით მიმართავს გლუკს, მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ 1954 წლის და მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შემცირების შესახებ

1961 წლის კონვენციისთან შეერთებას შეუწყოს ხელი.“ აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლუცია ასევე თხოვს გლუკს, „აქტიურად შეუწყოს ხელი მოქალაქეობის უქონლობის თავიდან აცილებასა და აღმოვტხვრას ინფორმაციის გავრცელებით და ასევე თანამშრომელთა და მთავრობის წარმომადგენელი ოფიციალური პირებისათვის ტრენინგების ჩატარებით; და ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებით.“

1996 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია (A/RES/50/152), რომელიც ასევე მოუწოდებს უმაღლეს კომისარს, კვლავაც გააგრძელოს საქმიანობა მოქალაქეობის არმქონე პირთა სასარგებლოდ და აქტიური პოპულარიზაცია გაუწიოს 1954 და 1961 წლების კონვენციებთან შეერთებასა და იმპლემენტაციას.

რეზოლუცია ასევე ავალებს გლუკ-ს, „უზრუნველყოს დაინტერესებული სახელმწიფოები შესაბამისი ტექნიკური და საკონსულტაციო მომსახურებით, რაც დაკავშირებული იქნება ეროვნული კანონმდებლობის მომზადებასა და დანერგვასთან.“

იმავე რეზოლუციაში გენერალური ასამბლეა „მოუწოდებს სახელმწიფოებს, მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვის შემცირების მიზნით, მიიღონ მოქალაქეობის შესახებ ისეთი კანონმდებლობა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებთან, კერძოდ, არ დაუშვებს მოქალაქეობის უკანონობა ჩამორთმებასა და ისეთი პირობების შექმნას, როდესაც პირს მიეცემა მოქალაქეობაზე უარის თქმის უფლება, მაშინ როდესაც, მას ჯერ არ ექნება სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა. კანონმდებლობა იმავდროულად უნდა აღიარებდეს სახელმწიფოს უფლებას, დაადგინოს კანონები მოქალაქეობის მიღების, მასზე უარის თქმისა და მოქალაქეობის დაკარგვის რეგულირების შესახებ.“

სამართლებრივი დაცვის პროგრამაში, რომელიც დაამტკიცა გლუკის აღმასრულებელმა კომიტეტმა (დასკვნა № 92 [III] ა) და 2002 წელს მოწონა გენერალურმა ასამბლეამ, მოქალაქეობის უქონლობა აღიარებულია გადასახლებისა და ლტოლვილთა წაკადების წარმოშობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად. სამართლებრივი დაცვის პროგრამა – საერთაშორისო დაცვის შესახებ გლუკის მსოფლიო კონსულტაციების კულმინაცია – შედგება მიღწევების, მიზნებისა და ქმედებათა ჩამონათვალისგან, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვას. იგი აღწერს სახელმწიფოების, მთავრობათაშორისო როგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ლტოლვილების ინტერესებისა და რეკომენდაციების ფართო სპექტრს და ასრულებს სახელმძღვანელო როლს კონკრეტულ ქმედებისათვის. მოქალაქეობის უქონლობის საკითხების მოგვარება აღარებულია იძულებითი გადაადგილების თავიდან აცილების და მოქალაქეობის უფლების უზრუნველყოფის საშუალებად.

მეტისმეტად დიდი იყო რაოდენობა მოქალაქეობის არმქონე პირებისა, რომელთა საქმეები წლების მანილზე მოივევარებელი რჩებოდა. ამით შეშფოთებულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 2004 წელს მოუწოდა გლუკს, უფრო აქტიურად ემუშავა შესაბამის სახელმწიფოებთან, რათა არსებული ვითარებიდან გამოსავალი ეპოვნათ. აღმასრულებელმა კომიტეტმა ასევე დაადასტურა გლუკის მიერ სახელმწიფოებისათვის ტექნიკური და ქმედითი დახმარების აღმოჩენის საჭიროება.

ბოლო ხანებში ადამიანის უფლებებისა და მოქალაქეობის იძულებითი ჩამორთმევის შესახებ 2005 წლის რეზოლუციაში (E/CN.4/2005/L.58) გაეროს ადამიანის უფლებათა კომისამ მოუწოდა გლუკს, კვლავაც გაეგრძელებინა ინფორმაციის შეგროვება ამ საკითხთან დაკავშირებით და მოეგვარებინა მოქალაქეობის იძულებითი ჩამორთმევის პრობლემა როგორც საკუთარ ანგარიშებში, ასევე ამ სფეროში მიმდინარე საქმიანობაში.

რას აკეთებს გლუკი მოქალაქეობის უქონლობის პრობლემასთან დაკავშირებით?

გლუკი დახმარებას უწევს მთავრობებს მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობის შედეგნასა და დანერგვაში და ასევე ატარებს ტრეინინგებს მთავრობის წრმომადგენელი ოფიციალური პირებისათვის. 2003 – 2005 წლებში გლუკმა იმუშავა 40-ზე მეტ სახელმწიფოსთან და დაეხმარა მათ მოქალაქეობის შესახებ ახალი კანონების შემუშავებასა და ძევლი კანონმდებლობის გადახედვიში. გლუკმა შესთავაზა საკუთარი კომენტარები ეროვნული კანონმდებლობის შესახებ საკონსტიტუციო დებულებებთან დაკავშირებით იმ სახელმწიფოებს, რომლებშიც მოსახლეობის დიდი ნაწილი ან მოქალაქეობის არმქონე პირია ან მათი მოქალაქეობა გაურკვეველია.

გლუკი მუშაობს პარლამენტებთან, რათა დაწმუნებული იყოს, რომ მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობა არ გამოიჩევს ხალხთა გადაადგილებას და არ შეიცავს დებულებებს, რომელთაც შესაძლოა მოქალაქეობის უქონლობა წარმოშვან (იხილეთ მე-4 დანართი, რომელშიც მოცემულია გლუკის ოფისების მისამართები მსოფლიო მასშტაბით).

როგორც დაგეგმილი იყო სამართლებრივი დაცვის პროგრამაში, გლუკმა ჩაატარა პირკელი გლობალური კვლევა გაეროს წევრი სახელმწიფოების მიერ მოქალაქეობის არქინის შესამცირებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების დაცვასთან დაკავშირებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად გადაადგმული ნაბიჯების შესახებ. გაირკვა, რომ მსოფლიოს არც ერთი რეგიონი არ არის თავისუფალი მოქალაქეობის არქინის პრობლემისაგან და რომ კვლავ აღნიშნება სერიოზული საკანონმდებლო და პოლიტიკური დარღვევები, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე. 74 სახელმწიფოს მიერ მონოდებული პასუხების ანალიზის საფუძველზე გლუკმა შეიმუშავა რეკომენდაციათა სრულყოფილი პაკეტი.

გლუკი მხარს უჭერდა მოქალაქეობასთან დაკავშირებულ კამპანიებს, როდესაც სახელმწიფოები უფლებას აძლევდნენ მოქალაქეობის არმქონე პირებს, მიელოთ იმ ქვეყნის მოქალაქეობა, სადაც ისინი დიდ ხნით მუდმივად ცხოვრობდნენ.

გლუკი უშუალოდ ეხმარება მოქალაქეობის არმქონე პირებსა და პირთა ჯგუფებს შესაბამის ქვეყნებთან კონსულტაციებით. ორგანიზაცია მოუწოდებს სახელმწიფოებს განსაზღვრონ შესაბამისი პირის სამართლებრივი სტატუსი და ასევე ხელს უწყობს კანონიერი კავშირების აღიარებას პირისა და სახელმწიფოს შორის, იმ შემთხვევებში, როდესაც პირი სხვა შემთხვევაში მოქალაქეობის არმქონე იქნება.

მოქალაქეობის სტატუსის დადგენის მოლლოდინში მოქალაქეობის არმქონე პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ მინიმალური უფლებებით ქვეყნებში, სადაც ისინი ცხოვრობენ. გლუკი მხარს უჭერს მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ 1954 წლის კონვენციის დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს მინიმალურ უფლება-მოვალეობათა პაკეტს მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის და ასევე ეხმარება სახელმწიფოებს მოქალაქეობის არმქონე პირების დაცვისა და დახმარების პროგრამების განხორციელებაში საჭიროებიდნ და რესურსების ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე.

**სხვა რომელი ორგანიზაციები მუშაობენ გლუკთან ერთად
მოქალაქეობის უქონლობასთან დაკავშირებული პრობლებების
მოსაგარებლად?**

გაეროს ძირითადი სააგენტოები, რომლებიც გლუკთან თანამშრომლობენ მოქალაქეობის უქონლობასთან დაკავშირებული პრობლებების მოგარების საქმეში, გახლავთ:

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის სამსახური, გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდი (UNICEF) და გაეროს ქალთა ფონდი (UNIFEM). მოქალაქეობის უქონლობის გაფინანსებული პრობლემების მოსაგვარებლად გლუკი ასევე პერიოდულად მუშაობს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ILO), გაეროს განვითარების ფონდთან (UNDP), მსოფლიო სასურსათო პროგრამასთან (WFP) და საერთო ძალებით ახორციელებენ დასახლების, განათლების ან საშემოსავლო პროგრამებს, რათა დახმარება გაუწიონ საზოგადოების იზოლირებული წევრების ინტეგრაციას ან რეინტეგრაციას ადგილობრივ საზოგადოებაში.

გაეროს ზემოხსენებულ ორგანიზაციათა გარდა, გლუკი მჭიდროდ თანამშრომლობს გაეროს შესაბამისი ორგანოების მექანიზმებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეობის უფლებას. მათ შორის არაან ადამიანის უფლების, ბავშვთა უფლებების, რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტები.

გლუკი თანამშრომლობს რეგიონულ ორგანოებთან, როგორებიცაა ევროსაბჭო, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, აფრიკის კავშირი, არაბეთის ქვეყნების ლიგა, ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია. გლუკი მონაწილეობას იღებს ევროსაბჭოს კომიტეტში მოქალაქეობის საკითხებზე, რომელიც ამუშავებს სტანდარტების დამწესებელი ისეთ ინსტრუმენტებს, როგორებიცაა ევროპული კონვენცია მოქალაქეობის შესახებ და ოქმის პროექტი სახელმწიფოთა სამართალმექანიზრებისათან დაკავშირებით მოქალაქეობის უქონლობის თავიდან ასაცილებლად.

არასამთავრობო ორგანიზაციები მჭიდროდ თანამშრომლობენ გლუკეთან ამ სფეროში, როგორც გლუკის პროგრამებისა და მისი საქმიანობას განვითარების მხარდაჭირები. 2005 წელს გლუკმა ხელი მოაწერა ქვე-შეთანხმებებს 770 პარტნიორთან, აქედან 578 არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლებიც 424 ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციას შეიცავენ.

გლუკი მჭიდროდ თანამშრომლობს **საპარლამენტოაშორისო კავშირთან (IPU)**, რათა აამაღლოს პარლამეტრათა ინფორმირებულობის დონე მოქალაქეობის უქონლობასთან დაკავშირებული საერთაშორისო ნორმების თაობაზე, გააცნოს მათ რისებულ რეკომენდაციათა სიმრავლე და ის საუკეთესო პრაქტიკა, რითაც შესაბლებელია მოქალაქეობის უქონლობის თავიდან აცილება. ორგანიზაციის მოუნიდებელს პარლამენტარებს, მიღლონ კანონმდებლობა მოქალაქეობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეობის უქონლობის აღმოფხვრისა და უზრუნველყოფს მოქალაქეობის უფლებას მოქალაქეობაზამორთმეული პირებისათვის; ამასთან, დაეხმარება იმის უზრუნველყოფაში, რომ ხელშეკრულებები, რომლებიც მრავალმოქალაქეობას შეეხება, უნებლიერ არ აღმოჩედა მოქალაქეობის უქონლობის მიზეზი.

ნარმატებული გამოცდილება: შრი ლანკა

მსოფლიოში ცნობილი შრი ლანკის ჩაის მწარმოებელთა უმეტესი ნაწილი ინდური ნარმოშობისაა. ისინი ოფიციალურად ინდებიან, როგორც „ახალი ინდური ნარმოშობის თამილები“ ან, როგორც მათ ჩვეულებრივ მოიხსენიებენ, „ქვეყნისშოდა თამილები“ – ეს მუშახელი ცეილონზე ბრიტანული ადმინისტრაციის მიერ ინდოეთიდან ჩამოყალიბი პირების შთამომავალი არიან. ბრიტანელები კუნძულს 1815–1948 წლებში მართავდნენ. 1948 წლიდან შრი ლანკაშ დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1948 წლიდან სხვადასხვა ინდო-შრილანკურმა შეთანხმებებმა გაასაზღვრეს ამ მუშახელის სამართლებრივი სტატუსი. ზოგიერთ ქვეყნისშოდა თამას მენიჭა ერთი ან მეორე სახელმწიფოს მოქალაქეობა კანონის ან ორმხრივ შეთანხმებების საფუძველზე. თუმცა ბევრი მაინც მოქალაქეობის გარეშე რჩებოდა და, აქედან

გამომდინარე, არ გააჩნდა ძირითადი უფლებები; ზოგიერთ მათგანს შრი ლანკის ან ინდოეთის მოქალაქეობის მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების უფლებაც კი არ ჰქონდა.

1982 წლის ინდოეთის მთავრობამ შრი ლანკის მთავრობას აცნობა, რომ ვადის გასვლის გამო მას ადარ მიაჩნდა მოქმედად ის ხელშეკრულებები, რომლებიც ქვეყნის შიდა თამაღლებთან დაკავშირებით იყო დადებული. ამის შედეგად, ამ დროიდან ნებისმიერ მოქალაქეობის არმქონე თამოლს აღარ ჰქონდა საშუალება მიეღო მოქალაქეობა.

ცეილონის მუშათა კონგრესი, პროფესიული და პოლიტიკური პარტია წლების მანძილზე იცავდა ქვეყნის შიდა თამილების უფლებებს. პასუხად შრი ლანკის პარლამენტმა შეიმუშავა და 2003 წლის ერთხმად დაამტკიცა „ინდური წარმოშობის პირებისათვის მოქალაქეობის მინიჭების აქტი“. აქტი ავტომატურად ანიჭებს მოქალაქეობას ინდური წარმოშობის ნებისმიერ პირს, რომელიც:

- 1964 წლის 30 ოქტომბრიდან შრი ლანკის მუდმივ მაცხოვრებელია ან
- ცხოვრობს შრი ლანკაში და არის 1964 წლის 30 ოქტომბრიდან შრი ლანკაში მუდმივად მცხოვრები პირის მემკვიდრე.

აქტის მიღების შემდეგ გენერალური კომისირის სამსახურმა, გლუკმა და ცეილონის მუშათა კონგრესმა დაიწყეს ინფორმაციის გავრცელება ახალი კანონმდებლობის შესახებ. თამილურმა, ინგლისურმა და სინेतალურმა მედიის საშუალებებმა არაერთხელ გაავრცელა ინფორმაცია საგაზირო სტატიების, რადიოგადაცემების და ტელევიზიის საშუალებით კანონმდებლობასთან დაკავშირებით და ასევე იმის შესახებ, თუ სად და როგორ უნდა მოხდეს მოქალაქეობაზე განაცხადების შეტანა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იმიგრაციის დეპარტამენტის კონტროლის პალატის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული პროცედურები მარტივია, ლაკონიური და სამართლიანი. მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის დადგინდა ორი სხვადასხვა ტიპის პროცედურა:

- დე ფაქტო მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელიც ინდოეთის 1982 წლის დეკლარაციის შემდეგ ვადაგასულ ჩვეულებრივ ინდურ პასპორტებს ფლობენ, სთხოვენ გამოხატონ საკუთარი სურვილი შრი ლანკის მოქალაქეობის ნებაყოფლობით მიღების შესახებ. ამას, როგორც წესა, ოჯახის თავი წყვეტს. ამ სურველის გამომხატველა დოკუმენტი სამიგრაციო სამსახურმა ორმაგი ხელმოწერით უწდა დაადასტუროს. დასტურის შემთხვევაში ოჯახის ყველა წევრს ენიჭება მოქალაქეობა.
- დე იურ მოქალაქეობის არმქონე პირებს არ მოეთხოვებათ წერილობითი განცხადების წარდგენა, თუმცა მათ მოუწოდებელ ხელი მოანერონ სპეციალურ განცხადებას, რომლის ძალითაც, ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ ხელმოწერის შემდეგ, გაადვილდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მიღება.

ორივე პროცედურა უფასოა და განცხადების წარდგენისთვის რაიმე შემზღვეველი ვადა არ ასებობს.

2003 წლის დეკემბერში გლუკმა და ცეილონის მუშათა კონგრესმა მოაწყვეს ერთდღიანი სემინარი 500 მოხალისისათვის. მათ შემდგომში იმუშავეს 50 მოძრავ ცენტრში, რომლებმაც მოიცვეს ჩაის პლანტაციის რეგიონი, სადაც მოქალაქეობის არმქონე პირებმა შემოიტანეს განაცხადები მოქალაქეობაზე. მოხალისებს ჩაუტარდათ ტრენინგი მოქალაქეობის უქონლობის შესახებ არსებულ ძირითად ფაქტებზე, 1948 წლის შემდეგ გამოცემულ შესაბამის კანონებზე, ასევე ახალ კანონმდებლობასა და მისი სარგებლოანობის კრიტერიუმებზე.

2003 წლის დეკემბერში 10 დღის მანძილზე დებულობდა განაცხადებს მოქალაქეობაზე მობილურ ცენტრებში მყოფი პერსონალი. გლუკმა დააფინანსა კამპანია და თვითონ მეთვალყურეობდა მიმდინარე პროცესს, რათა დარწმუნებულიყო,

რომ განმცხადებლები ინფორმირებულები არიან და გადაწყვეტილება მიიღეს ნებაყოფლობით. იმ თვის ბოლოს 190 000 ოჯახის უფროსმა მიიღო შრი ლანკის მოქალაქეობა. აქედან 80 000 მანამდე ფლობდა ინდურ პასპორტს, დანარჩენები კი დე იურე მოქალაქეობის არმქონე პირები იყვნენ.

2004 წლის ივლისში მოეწყო მეორე, შედარებით პატარა კამპანია ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში. ამჯერად 2000-ზე მეტმა მოქალაქეობის არმქონე პირმა შეიტანა განაცხად და მიიღო მოქალაქეობა. მას შემდეგ ქვეყნისშიდა თამილთა მსოფლი მცირე რაოდენობამ მოახერხა მოქალაქეობაზე განაცხადის გაკეთება რაოონში მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენლის, ან დედაქალაქ კოლომბოში მდებარე საზოგადოებრივი უსაფრთხოების, კანონიერებისა და წესრიგის სამინისტროს სამოქალაქო განყოფილების მეშვეობით.

ვინ აფინანსებს გლუკის საქმიაობას?

გლუკი გაეროს ერთ-ერთი იმ იშვიათ სააგენტოთაგანია, რომელიც თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად მთლიანად ეფუძნება ნებაყოფლობით შემოწირულობებს. გლუკის წლიური ბიუჯეტის დაახლოებით 2 პროცენტი მოდის გაეროს რეგულარულ ბიუჯეტში შესულ შემოწირულობებზე. დანარჩენი კი მთავრობების, ცალკეული პირების და კერძო სექტორის მიერ ნებაყოფლობით შემოწირულობებზე.

2006 წლის დასაწყისში 20,8 მილიონი ადამიანი იმყოფებოდა გლუკის მზრუნველობის ქვეშ და მისი ბიუჯეტი ამ წელს 1,4 მილიარდ აშშ დოლარს შეადგინდა.

1990-2005 წლებში გლუკმა საკუთარი დაფინანსების 88% მიიღო 10 სამთავრობო დონორისაგან. 2005 წელს მას კერძო სექტორიდან ჩაერიცხა 30,2 მილიონ აშშ დოლარზე მეტი, ძირითადად ევროპიდნ, ავსტრალიიდნ, იაპონიასა და აშშ-დან. არასამთავრობო ორგანიზაციებსაც შეაქვთ თავისითი წვლილი გლუკის წლიური ბიუჯეტის შევსებაში, გლუკის ზოგიერთი პროგრამების მხარდასაჭერი საჯარო მიმართვების მეშვეობით. უკანასკნელ წლებში გაიზარდა შემოწირულობები კერძო სექტორიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. შეთანხმებული ძალისხმევის შედეგად ამაღლდა საზოგადოების ცნობიერებია დონე რადიოს, ტელევიზიის, პრესისა და მედიის სხვა საშუალებებით.

თავი 5

როგორ შეუძლიათ პარლამენტის დახმარება

პარლამენტარებს თავიანთი მდგომარეობის გამო განსაკუთრებული შესაძლებლობა გააჩნიათ, ხელი შეუწყონ მოქალაქეობის უქონლობის შემთხვევების შემცირებას და იმის უზრუნველყოფას, რომ მოქალაქეობის არმქონე პირები, საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად, სარგებლობდნენ მათთვის მინიჭებულ უფლებებითა და ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს. ამის გაეთხება შესაძლებელია სხვადასხვა გზით: მოქალაქეობის შესახებ კანონმდებლობის გადახედვისა და იმის უზრუნველყოფით, რომ იგი შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს; ასევე მოქალაქეობის არმქონე პირების შესახებ 1954 და 1961 წლების კონვენციებთან შეერთებით, მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვის შემცირებისა და აღმოფხვრის მცდელობით და მოქალაქეობის არმქონე პირებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებით.

რა უნდა გაითვალისწინონ პარლამენტარებმა მოქალაქეობის უქონლობის შესახებ კანონმდებლობის განხილვისას?

- გადახედონ შესაბამის საერთაშორისო ან რეგიონულ ხელშეკრულებებს, რომელთა წევრიც არის სახელმწიფო. გადახედონ იმ ხელშეკრულებებს, კონვენციებსა და დეკლარაციებს, რომელსაც სახელმწიფო იყენებს ეროვნულ კანონმდებლობაში. ეს დახმარება მათ ადგილობრივი კანონმდებლობის ინტერპრეტაციაში.
- ვინაიდან ბევრი სახელმწიფო მოქალაქეობასთან დაკავშირებულ დებულებებს წერგავს სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტში, გადახედონ კონსტიტუციას, მოქალაქეობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას, განკარგულებებსა და ეროვნული კანონმდებლობის წყაროებს, რამაც შესაძლოა ნათელ მოპოვინოს სახელმწიფოს კანონმდებლობას და კანონმდებლობის ინტერპრეტაციას.
- გადახედონ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, რომლებიც მიღებულ იქნა სახელმწიფოთა სამართალმექანიზმების შემთხვევებში.
- შიდა კანონმდებლობის გადახედვისას განსაზღვრონ, უზრუნველყოფას თუ არა სახელმწიფო უსაფრთხოების ზომების მიღებას და სისტემატურ გამოყენებას მოქალაქეობის უქონლობის წარმოშობის, მოქალაქეობის ჩამორთმევის, მასზე უარის თქმისა და დაკარგვის საშპროექტის თავიდან ასაცილებლად.

ეროვნული კანონმდებლობის გადახედვისას, შეეცადეთ პასუხი გასცეთ შემდგენ შეკითხვებს:

მოქალაქეობის შეძლების შესახებ

- შეუძლიათ თუ არა ბავშვებს მიიღონ დედის მოქალაქეობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მამას არ გააჩნია მოქალაქეობა ან თუ ის არ არის წარმოდგენილი?
- რა ადიმისტრაციული პროცედურა არსებობს დაბადების რეგისტრირებისათვის? გამოიყენება თუ არა პრაქტიკუში? უზრუნველყოფას თუ არა სახელმწიფოს კანონმდებლობა მოქალაქეობაზე მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობას სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაბადებული პირებისათვის, რომებიც სხვა შემთხვევაში

მოქალაქეობის არმქონე პირები იქნებოდნენ?

- ეხება თუ არა დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი მოქალაქეობის წესებს?
- სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს შექნის შემთხვევაში, მიღება თუ არა მხედ-ველობაში უტყუარი და ეფექტური კაგშირი პირსა და სახელმწიფოს შორის, პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს წარმოშობის დროს, პირის ნება-სურვილი, პირის ტერიტორიული წარმოშობა წინამორბედი სახელმწიფოს მოქალაქეისათვის მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას?

მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ

- უზრუნველყოფს თუ არა ქორწინების ან სხვა მიზეზით სოციალური სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებული დებულებები მოქალაქეობის უქონლობის თავიდან აცილების გარანტიას?
- როგორ ხდება მოქალაქეობის დაკარგვა? შესაძლებელია თუ არა მოქალაქეობის უქონლობის წინასწარ განჭვრეტა?
- ეფუძნება თუ არა მოქალაქეობზე უარი სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას ან მიღების გარანტიას?
